ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 მაისი 2004 №107 (2126) ფასი 50 თეთრი




ბადრი კეთილაძის ფოტო

# ფეხბურთი თამაშგარეთ, თამაში ფეხბურთსგარეთ

## არბიტრი, რომელმაც თბილისი – დინამო ნორმალურად იმსაჯა, არანორმალურ მდგომარეობაშია: კახა მესხი შეშინებული და დაბნეულია

*ნურაფერს მკითხავთ... რას აკეთებენ, რა დღეში ჩამაგდეს... რა უნდათ ჩემგან? ყველაზე მეტად მე ვიჩაგრები... დამირეკეს, მაგრამ მუქარა კი არა, თხოვნა იყო, ნორმალურად იმსაჯეო*

### თბილისი

*რადგან ფედერაციას მსაჯზე ზეწოლის და მუქარის ფაქტი აქვს, სრული საფუძველი არსებობს, მატჩი გადათამაშდეს*

### დინამო

*ეს სკანდალი ხელოვნურად ინსპირირებულია და შეიძლება შავ პიარადაც ჩაითვალოს*



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ვიდრე თბილისი და დინამო ერთმანეთს ჭამენ, ვიტ ჯორჯიამ გორიდან ჩემპიონობის შანსი წამოიღო



ბადრი კეთილაძის ფოტო

გორელების კარში გამარჯვების გოლის გამტანი რევაზ გოცირიძე თანაკლუბელებმა მოედნიდან ხელით გაიყვანეს

**I–VI ადგილები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 3 | 3 | 2 | 12:6 | 37 |
| სიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:5 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 2 | 2 | 6:2 | 35 |
| თბილისი | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 31 |
| ლოკომოტივი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:9 | 24 |
| დილა | 8 | 0 | 2 | 6 | 1:18 | 19 |

## საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ განცხადება

ჩვენი კლუბი კატეგორიულად უარყოფს და ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნის „თბილისთან“ კალენდარული მატჩის მთავარი არბიტრის, კახა მესხის წინააღმდეგ გამოთქმული მუქარისა და რაიმე სახის გარიგებასთან კავშირში და კლუბის წინააღმდეგ აგორებულ სკანდალს ხელოვნურად ინსპირირებულად მიიჩნევს.

ვეყრდნობით რა მატჩის დელეგატ ოთარ გუნთაძის განცხადებას — „ხაზგასმითა და გულწრფელად ვამბობ, კახა მესხისა და მისი თანაშემწეების მხრიდან არაობიექტურობა და მიკერძოება არ ყოფილა. მსაჯებს ჰქონდათ მცირედი შეცდომები, მაგრამ ამას შედეგზე გავლენა ნამდვილად არ მოუხდენია“ — აბსურდულად მიგვაჩნია ამ ფაქტის გარშემო გაკეთებული დასკვნები, რომლებიც ძალაუნებურად „დინამოს“ წინააღმდეგ ბრალდებად შეიძლება იქნას შეფასებული. კლუბის ხელმძღვანელობის თბილისში არყოფნის დროს ყოველივე ეს ე.წ. შავ პიარადაც კი შეიძლება მოინათლოს.

როგორც ჩანს, მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, მავანს განზრახული აქვს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს როგორც ფეხბურთელებზე, ასევე კლუბის ხელმძღვანელობაზე, რომელიც თავის მხრივ კიევიდან დაბრუნებისთანავე მზადაა აქტიურად ჩაებას აღნიშნული ფაქტის გამოძიებაში და ძალ-ღონეს არ დაიშურებს სიმართლის გასარკვევად.

*ს.კ. „დინამო თბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება*

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

საუთჰემპტონი 3:3 ნიუკასლი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
XXXVII ტური

დანდი 2:0 ლივინგსტონი
კილმარნოკი 4:0 აბერდინი
მოზერუელი 1:1 სელტიკი
რეინჯერსი 0:1 ჰართსი

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXIX ტური

პრიმორიე 1:2 მურა
მარიბორი 3:1 კოპერი
შმარტნო 3:2 პუბლიკუმი
დომჟალე 4:1 დრავოგრადი
ლიუბლიანა 2:1 პტუი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXIX ტური

უიპეშტი 3:0 დებრეცენი
მტკ 0:2 ბალატონი
შოპრონი 2:2 ფერენცვაროში
ჰალადაში 2:1 ბეკეშჩაბა
ვიდეოტონი 4:1 დიორ ეტო
ზალაეგერსეგი 2:0 პეჩი

### რუსეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

შინიკი 1:2 *ტერეკი* (0:0)
*კრილია* 3:1დ.დ.(1:1) ტ. მეტალურგი (1:1)

### ბულგარეთი

თასის ფინალი

ცსკა 2:2დ.დ.(პენ.3:4, 2:2) ლიტეძსი

### ნორვეგია

ტიპელიგა. V ტური

ვიკინგი 1:1 ლილესტრიომი

### ხორვატია

ნაციონალლიგა. XXXI ტური

ვარტეძსი 4:1 ზადარი
ოსიეკი 0:1 ჰაიდუკი
რიეკა 0:1 დინამო
სლავენი 2:0 ინტერი
ციბალია 2:1 კამენი
ზაგრები 3:0 მარსონია

### იაპონია

ჯეი ლიგა. VII ტური

იოკოჰამა 1:1 შიმიცუ

### იტალია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

იუვენტუსი 2:2 ლაციო (0:2)

### შვეიცარია

სუპერლიგა. XXXIV ტური

აარაუ 4:0 ვილი
სენტ გალენი 2:1 გრასჰოპერი
თუნი 2:1 სერვეტი
ძსამაძსი 3:1 ბაზელი
ციურიხი 2:2 იანგ ბოისი

ჩელენჯლიგა. XXX ტური

ბადენი 1:0 ლუცერნი
ბელინცონა 3:2 შაფჰაუზენი
კიასო 1:3 ბულე
კრინსი 2:0 დელემონი
მეირინი 1:0 კონკორდია
სიონი 0:2 ვოლენი
ვადუცი 2:0 შო დე ფონი
ვინტერთური 1:1 ივერდონი

### სერბეთი

თასის ფინალი

ცრვენა ზვეზდა 1:0 ბუდუჩნოსტი

### დანია

I დივიზიონი. XXIV ტური

ბ-1913 ოდენსე 1:3 რანდერსი
ფრედერისია 1:1 ბ-93 კოპენჰაგენი
ნორდიულანდი 2:2 ვეილე
კიოგე 3:0 ფკ ორჰუსი
იოლსტიკე 2:1 ფრემადი
სილკებორგი 6:0 ბრიონსჰიოი
სკიოლდი 6:0 ნიკიობინგი
სონდერიულანდი 2:2 ჰორსენსი

### ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი

სპარტა 1:0 ლიბერეცი
ბანიკი 2:1 ჟიჰლავა

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXVI ტური

აიაჩო 1:0 სოშო
ლე მანი 1:1 ლილი
ლიონი 1:0 ბასტია
მარსელი 1:1 მონპელიე
ნანტი 0:0 გენგამი
ნიცა 1:1 ტულუზი
რენი 0:0 მეცი
სტრასბური 0:0 მონაკო

II დივიზიონი. XXXVI ტური

ამიენი 1:2 კლერმონი
შატორუ 2:1 ლე ავრი
კრეტეი 0:2 ისტრი
ნანსი 1:0 ნიორი
რუანი 1:2 კაენი
სედანი 4:1 გრენობლი
ვალანსი 2:1 ლავალი

### შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

ელფსბორგი 0:0 იურგორდენი
კალმარი 1:3 ჰალმსტადი
ლანდსკრონა 2:1 მალმიო



„ლიონი“ — „ბასტია“: მასპინძელთა გამარჯვების გოლი ჟუნინიომ, რა თქმა უნდა, ჯარიმით გაიტანა

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

14 მაისი

ოცდამერვე ტური

ამერი თბილისი — დინამო 2 თბილისი

დასაწყისი 18 საათზე. დასწრება უფასოა

# ჟირესმა 22 დაითვალა

## საქართველომ 27 ვერ მოიფიქრა

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც 27 მაისს, ისრაელთან ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს*



ჟირესის სიაში ორი დებიუტანტია: რუსეთში მოთამაშენი, „ანჟის“ მცველი კახა მჟავანაძე და „ალანიას“ ნახევარმცველი ლევან გვაზავა პირველად მოირგებენ ეროვნულის მაისურას. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს უბრუნდება „სიონის“ მცველი დავით ჭიჭველიშვილი, რომელსაც ადრე იოჰან ბოსკამპი იწვევდა ხოლმე. უფრო ხანგრძლივ, რვაწლიან სანაკრებო უქმობას კი ებრაელებთან შეწყვეტს მეკარე აკაკი დევაძე. მან ბოლოს ეროვნულ გუნდში ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობისას, 1996 წელს რუმინეთში ითამაშა, ჩვენები მაშინ 0:5 დამარცხდნენ. ჟირესმა ჩემპიონატში დევაძის რამდენიმე თამაში ნახა, მერე ახალგაზრდულ ნაკრებთან სავარჯიშო მატჩისთვისაც მიიწვია და აგერ, საერთაშორისო შეხვედრისთვისაც უხმო.

ჟირესის მიერ გამოძახებულთა სრული შემადგენლობა კი, რომელიც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოგვაწოდა, ასეთია:

**მეკარეები**: აკაკი დევაძე („სპარტაკი“, თბილისი), გიორგი ლომაია („სპარტაკი“, მოსკოვი), ზურაბ მამალაძე („ლოკომოტივი“, თბილისი)

**მცველები**: კახა კალაძე („მილანი“, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („რეინჯერსი“, შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო“, მოსკოვი), გივი დიდავა („ქოჯაელი“, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („დინამო“, კიევი), რევაზ ქემოკლიძე („თბილისი), დავით ჭიჭველიშვილი („სიონი“, ბოლნისი), კახა მჟავანაძე („ანჟი“ მახაჩყალა)

**ნახევარმცველები**: მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა (ორივე „ალანია“, ვლადიკავკაზი), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), ლევან კობიაშვილი („შალკე“, გერმანია), დავით სირაძე („უნიონი“, გერმანია), დავით მუჯირი („შტურმი“, ავსტრია), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია)

**თავდამსხმელები**: ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“), რატი ალექსიძე („როსტოვი“), მიხეილ აშვეთია („ლოკომოვტივი“, მოსკოვი).

ჯერჯერობით ზუსტად უცნობია, საქართველოს ნაკრები ებრაელებთან მატჩისთვის მზადებას როდიდან დაიწყებს. არც ისაა გადაწყვეტილი, თამაში „ლოკომოტივზე“ იქნება თუ „ეროვნულზე“.

ამ ამხანაგურ შეხვედრასთან დაკავშირებული სხვა ამბები კი ჟირესის თანაშემწე გია გურულმა გვითხრა, რომელსაც გუშინვე საფრანგეთში დავუკავშირდით.

— სურვილის მიუხედავად, ისრაელთან ვერ გამოვიძახებთ თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს, მათ 26 მაისს თასის ფინალი აქვთ სათამაშო და გადაღლილები იქნებიან. ასევე გადატვირთული კალენდრის გამო 27 მაისს ვერ ითამაშებენ გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე, მათ „მეტალურგს“ 25 და 29 მაისს უკრაინაში მნიშვნელოვანი მატჩები აქვს.

— სწორედ 27 მაისს კახა კალაძის „მილანი“ ჩინეთში რომ მიემგზავრება?

— ვეცდებით, რომ კახა მაინც ჩამოვიდეს, ჩვენ ის გვჭირდება. ფეხბურთის ფედერაცია „მილანს“ სთხოვს მის გათავისუფლებას და ალბათ იტალიელები უარს არ იტყვიან. კახა „მილანს“ ისრაელთან მატჩის შემდეგვე შეუერთდება.

— ამ შემადგენლობაზე ექსპერიმენტული არ ითქმის. ჩავთვალოთ, რომ შესარჩევი მატჩებისთვისაც ამათ გამოიძახებთ?

— არა, ჩვენ ვაგრძელებთ ფეხბურთელთა შერჩევას. მაგალითად, ახლა ორი ფეხბურთელი, გვაზავა და მჟავანაძე ნაკრებში პირველად გამოვიძახეთ. ჭიჭველიშვილს ჩემპიონატის მატჩებში ვაკვირდებოდით და თავის გამოჩენის შანსი მივეცით. ჩვენ ახლა ნაკრების ღერძის ძიებაში ვართ 4 სექტემბრის პირველ შესარჩევ მატჩამდე ერთი ამხანაგურიც გვაქვს, აგვისტოში მოლდოვასთან და ღერძიც სწორედ კიშინიოვის შეხვედრისას გამოიკვეთება. ისრაელთან თამაში კი ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად გვჭირდება.

— თბილისში როდის ჩამოხვალთ?

— 21 აპრილს მოვდივართ. ისრაელთან მატჩამდე ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრებსა და თასის ფინალს დავესწრებით.

**ბოჩა ინასარიძე**

# მთავარი იყო ახალკაცი, საუკეთესო ყიფიანი



*...1981 წლის 13 მაისი — ზოგადად, სიტყვით შეუძლებელია განცდების მთელი სისავსით გადმოცემა და, ალბათ არც არაფერს ძალუძს სრულად მოიცვას და აღწეროს ემოცია. არც ჟურნალისტიკაა მისტიკა, მაგრამ თბილისი „დინამო“ და 1981 წლის 13 მაისი...*

*ვგონებ, სამი წერტილი ზუსტად დავსვი, ხოლო 23 წლის წინანდელ ამბებზე სალაპარაკოდ „დინამო“ —„კარლ ცაისის“ მატჩის ერთ-ერთი მონაწილეს, ზაურ სვანაძეს ვთხოვეთ რესპონდენტობა*



— როგორ აღნიშნავთ ხოლმე 13 მაისს?

— თანაგუნდელები თითქმის ყოველ წელიწადს ვიკრიბებით რესტორანში, მხოლოდ დინამოელები, ოჯახების გარეშე. ალბათ, ახლაც ასე იქნება.

— ამ თამაშს ყოველ 13 მაისს არჩევთ ხოლმე?

— ასეთ შეხვედრებზე ყველაფერზე ვსაუბრობთ, მათ შორის დიუსელდორფის მატჩზეც.

— და რაზე კამათობთ?

— იმ მატჩზე არ ვკამათობთ. ფეხბურთი მართლაც იმისაა, რომ იკამათო, მაგრამ იმ თამაშში საკამათო არაფერი ყოფილა.

— რატომ, დიუსელდორფის მატჩზე ხომ ახლაც კამათობენ?! მაგალითად, ბევრს მიაჩნია, რომ დავით ყიფიანმა დიუსელდორფში ძლიერად ვერ ითამაშა, ზოგი კი პირიქით თვლის — ყიფიანის პასი რომ არა, იქნებ თამაში ვერ მოგვეგოო...

— შესაძლოა, ყიფიანმა ვერ ითამაშა თავისი საუკეთესო მატჩი დიუსელდორფში, მაგრამ ვიტალი დარასელიასკენ მისი პასი მართლაც ყველაფრად ღირდა, ხოლო ვიტალის საგოლე შესრულება ხომ საერთოდ არაჩვეულებრივი იყო.

— „დინამოს“ პირველ გოლზეც კამათობენ — რამაზ შენგელია ორ მეტოქეს რომ გასცდა, თვითონ უნდა დაერტყა და არა ვლადიმერ გუცაევსო...

— გოლი რომ გადის, საკამათო აღარაფერია. იმ ეპიზოდს გოლი რომ არ მოჰყოლოდა, მერე მართლაც საკამათო იქნებოდა ყველაფერი.

— ვინ იყო დიუსელდორფის ტრიუმფის მთავარი შემოქმედი — ფეხბურთელები თუ უფრო მწვრთნელი?

— მთავარი მაინც მწვრთნელი იყო. რაც უნდა კარგი ფეხბურთელები ჰყავდეს გუნდს, კარგი მწვრთნელის გარეშე ვერაფერს მიაღწევს. მაგალითად ახლანდელი მადრიდის „რეალი“ ავიღოთ — ამდენი ვარსკვლავით დაკომპლექტებულმა გუნდმა უკეთესი შედეგი უნდა აჩვენოს.

— ყველაზე უფრო რით იყო ნოდარ ახალკაცი ძლიერი, ყველაზე უფრო რა განაპირობებდა მისი, როგორც მწვრთნელის სიძლიერეს?

— ის, რომ ახალკაცი ძლიერი პიროვნება იყო.

— ახლა სხვა დროა და სხვა ურთიერთობებია მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის — როგორ ფიქრობთ, დღესაც შეძლებდა ახალკაცი ასეთი წარმატების მიღწევას?

— დღეს მართლაც სხვა ვითარებაა და ვფიქრობ, ახალკაცს დიდი წარმატებების მიღწევა ახლა გაუძნელდებოდა.

— „კარლ ცაისთან“ თამაშის წინ რა დავალება მოგცათ ახალკაცმა?

— ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე უნდა მეთამაშა, ძირითადად დაცვითი ფუნქციები უნდა შემესრულებინა.

— გერმანელებმა გოლი თქვენი ფლანგიდან ჩაწოდებულით გაგვიტანეს...

— ასე იყო, მაგრამ მე ამაში ბრალი არ მიმიძღვის, გოლი ჩემს შეცდომას არ მოჰყოლია.

— ამ მატჩის ვიდეოჩანაწერს ყოველ 13 მაისს უყურებთ?

— ხუთი წელია, ეს ფირი აღარ მინახავს, კასეტა სხვას ვათხოვე და აღარ დამიბრუნეს. დიუსელდორფის მატჩით გამოწვეული ემოცია კი კვლავაც ძალიან ძლიერია.

— მართალია, რომ „დინამო“ მაშინ ჯგუფებად, პატარ-პატარა სამეგობრეობად იყო დაყოფილი?

— ახალგაზრდები ერთმანეთში უფრო ახლოს იყვნენ, ისევე როგორც შედარებით ასაკოვანი ფეხბურთელები, მაგრამ არანაირად არ იგრძნობოდა, რომ „დინამო“ დაყოფილი იყო.

— „დინამოში“ მაშინ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობდა, მაგრამ ვინ იყო გუნდის გამორჩეული ლიდერი?

— ყიფიანი.

— როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს დიუსელდორფის ტრიუმფი ახალი თაობისთვის, რომელიც 1981 წლის 13 მაისს არ მოსწრებია?

— ეს მათთვის, უბრალოდ, ისტორიაა, იმ ემოციის აღქმა ახალი თაობისთვის წარმოუდგენელია.

— დიუსელდორფში მაისურა რომ გეცვათ, შენახული გაქვთ?

— არა, 1990 წელს შვედურ „ჰოლმსუნდში“ ვთამაშობდი და კლუბის პრეზიდენტმა მთხოვა, ეგ მაისურა მაჩუქეო, მეც უარი ვერ ვუთხარი.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა 15 მეორე ეტაპი
8 ტური
გადადებული მატჩი

გორი. 12 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 100 (ტევადობა 8 250)

## დილა 0:1 ვიტ ჯორჯია

| 0:1 გოცირიძე (90) | |
|---|---|
| **დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, მასურაშვილი, ლომიძე, ლაცაბიძე, ხანიშვილი (საყვარელიძე 46), ბ. ჩიტაია (ძოწუაშვილი 73), ოლგესაშვილი, შატაკიშვილი, რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი *სათადარიგონი:* ილურიძე, მალანია, სულთანიშვილი, შელია, ხაჭაპურიძე **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი | **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე, კობიაშვილი, ინწკირველი, გველესიანი, დილმელაშვილი, ნოზაძე, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი 66), ადამია, გოცირიძე, მარცვალაძე (მერებაშვილი 79) *სათადარიგონი:* მამარდაშვილი, იმედაშვილი, შენგელია, დათუნაიშვილი, კუპრეიშვილი **მწვრთნელი:** მერაб კოჭლაშვილი |
| **გაფრთხილება:** შატაკიშვილი (70), ადამია (75) | |
| **მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია | |



გორელ გიორგი ბალაშვილს მეტოქის ფეხი მწარედ მოხვდა

# გოცირიძე კინაღამ დაახრჩვეს

**დავით ერაძე** გორიდან

**ავდრის** გამო გადადებული „დილა“ — „ვიტ ჯორჯია“, როგორც იქნა, შედგა. მართალია, მთლად საფეხბურთო ამინდი არ ყოფილა, მაგრამ თამაშს არც სანახაობრივი მხარე დაეწუნებოდა და არც დაძაბულობა. „დილამ“ 90 წუთი ბოლომდე იბრძოლა და მსაჯის მიერ დამატებულ ორ წუთში გატყდა. გოლიც ისეთი გავიდა, ნებისმიერი რანგის შეხვედრას დაამშვენებდა. მანამდე ორი უნაღდესი მომენტის გამცუდებელი გოცირიძე ადამიას ჩაწოდებულზე გაფრინდა, ბურთს თავი დაჰკრა და აქამდე უშეცდომოდ მოთამაშე სოლოლაშვილი უშანსოდ დატოვა. ვეტერინარებმა არნახულად გაიხარეს, მთელი გუნდი მოედანზე შეცვივდა და გოლის ავტორს ახრჩობდა.

მატჩის დასაწყისი გორელებისა იყო. მათ პირველივე წუთზე მოაწოდეს კუთხური, რასაც ჩიტაიას სახიფათო დარტყმა მოჰყვა. შემდეგ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ხანიშვილს გაუცუდდა მომენტი. „ვიტ ჯორჯია“ მიხვდა, გორელებმა საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდესო და მე-6 წუთზე თავად შეაწუხეს სოლოლაშვილი. მარცვალაძის დარტყმული „შუმახერამ“ ვერ დაიჭირა, დამატებაზე ყველას დეკანოსიძემ დაასწრო, მაგრამ მისი გასროლილი სოლოლაშვილმა ცხრიანიდან გამოაძრო. წვიმა კი თანადათან ძლიერდებოდა, მოედანი უფრო და უფრო მძიმდებოდა. მე-16 წუთზე ლაცაბიძის თავური გველესიანმა ცარიელი კარიდან გამოიტანა. ამის მერე ტაიმი მთლიანად „ვიტ ჯორჯიასი“ იყო და მეორე ტაიმიც თბილისელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა გორელთა ჩხვლეტებიც ძალიან სახიფათო იყო. 55-ე წუთზე დეკანოსიძემ იდეალური პასით უმეთვალყურეოდ დარჩენილი გოცირიძე მონახა, მაგრამ ფორვარდის თავურს ძალა დააკლდა და სოლოლაშვილი ბურთს დაეუფლა. ხუთ წუთში უკვე მარცვალაძე აღმოჩნდა „დილას“ მეკარის პირისპირ, მაგრამ ამჯერადაც სოლოლაშვილმა იყოჩაღა.

დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნაზე მყოფმა მერაბ კოჭლაშვილმა მოედანზე ჯერ გოჩაშვილი, მერე კი ერეკლე მერებაშვილი შეუშვა. ამან ვეტერინარები გამოაცოცხლა, მაგრამ გოლი კინაღამ საკუთარ კარში მიიღეს. რაზმაძემ სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთს თავი საყვარელიძემ შეაგება და ხარიხა შეაზანზარა.

85-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯიამ“ ისეთი მომენტი გააფუჭა... გოჩაშვილმა ფლანგზე გაილაღა, გორელთა საჯარიმოში შეიჭრა, შორეულ ძელთან მდგომი ადამია შენიშნა და ამან კარს სამი მეტრიდან ააცილა. ამასობაში დამხმარე მსაჯმა დამატებული ორი წუთის მაჩვენებელი დაფაც აღმართა, ლაცაბიძემ კი ცენტრში ბურთი დაკარგა და ადამიამ ის კომბინაცია წამოიწყო, თავში რომ აღვწერეთ...

მატჩის შემდეგ გახარებულმა *მერაბ კოჭლაშვილმა* თქვა, ძალიან საჭირო ქულები შევიმატეთ, ახლა „დინამოსთან“ მართლაც საჩემპიონო მატჩი გველისო.



ბოლო წუთის გოლი და ნანატრი სამი ქულა სხვანაირად გასახარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლობანოვსკის ტურნირი
კიევი. 12-14 მაისი

კიევი. 12 მაისი. 17 საათი. ვალერი ლობანოვსკი. 5 000 (ტევადობა 20 000)

**დინამო 0:1 შერიფი**

0:1 ივანოვი (70)

**დინამო:** გვარამაძე, სილაგაძე, კანდელაკი, გიგაური (შაშიაშვილი 59), კანკავა, ბურდული (კაშია 59), რომერო (გრიგალაშვილი 88), ხმალაძე (ანჩაბაძე 47), ახალაია, ს. იაშვილი (დვალი 86), მელქაძე (კაკალაძე 56)
*სათადარიგო:* თოთლაძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**შერიფი:** ხუცანი, გუმენიუკი, თარხნიშვილი, ლაკუსტა (იაროსლავსკი 76), შიმანი, პრიგანიუკი, მ. ბურნაძე (ბელოუსი 90), ს. ივანოვი (ბლანკო 86), ბარიშევი, ნესტერიუკი (ბიჩკოვი 59), ს. კუზნეცოვი (ალეკსეევი 69)
*სათადარიგონი:* პაშჩენკო; დოს სანტოსი
**მწვრთნელი:** ლეონიდ კუჩუკი

**მსაჯები:** იგორ იშჩენკო; ლეონიდ კუბიაკი, სერგეი ციმბალი; გენადი ბიჩი (ყველა უკრაინა)

# შერიფმა დინამოს შორიდან მსროლა

## ესენგეს ფინალი კიევში ცუდად გამეორდა



ევგენი შიმანს ჯაბა კანკავა დაუდგა

**მაშინ,** როცა საქართველოში „თბილის“ —„დინამოს“ მსაჯ კახა მესხის სკანდალური ნათქვამი მეხივით გავარდა, „დინამო“ კიევში, ლობანოვსკის ტურნირზე სათამაშოდ გაემგზავრა. ფაქტია, თბილისში აგორებული სკანდალის შესახებ დინამოელებმა უკრაინის დედაქალაქში გაიგეს, თუმც იმის თქმა, რომ ამ ყველაფერმა გია გეგუჩაძის ბიჭებს ხასიათი წაუხდინა და ტურნირის პირველივე მატჩი გუშინ ტირასპოლის „შერიფთან“ ამად წააგო, უსამართლო და დაუსაბუთებელი იქნება. მით უმეტეს, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მესხის ნათქვამს თავიდანვე აბსურდი უწოდა და მგონი, ამას სერიოზულად არც უყურებს.

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ, რომ მესხს და „დინამოს“ „შერიფთან“ წაგებას საერთო არაფერი აქვთ და ლობანოვსკის ტურნირსაც სხვა, ობიექტური თვალით შევხედოთ.

4 თამაში და 4 მოგება — ასეთი იყო გია გეგუჩაძის მონაგარი „დინამოში“ გამწვრთნელების მერე. ახალგაზრდა მწვრთნელი ალბათ ძალიან ნაწყენი იქნება, ახალ სარბიელზე პირველი მარცხი რომ იწვნია, თუმც ისიც გავიხსენოთ, რა თქვა მან კიევში გაფრენამდე: „ცხადია, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ, მაგრამ ძალიან მინდა, ლობანოვსკის ტურნირი მომავალი თაობის შესამოწმებლადაც გამოვიყენო“. გეგუჩაძე ამ ნაბიჯს არც მოერიდა და გუშინდელ მატჩში ხუთი ფარმკლუბელი ათამაშა. ამათგან სამი — დავით გიგაური, ჯაბა კანკავა და ლევან ხმალაძე ძირითადში იყვნენ, შოთა გრიგალაშვილი და ჯაბა დვალი კი შეცვლაზე გამოჩნდნენ. ცხადია, ამის გამო რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს დასვენება მოუწევდა და ასეც მოხდა: გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ანჩაბაძე, მიხეილ კაკალაძე, დავით კვირკველია და შოთა კაშია მწვრთნელმა სასტარტო თერთმეტეულში არ დააყენა.

დინამოელთა გარდა მოედანზე კიდევ ორი ქართველი იყო — „შერიფის“ კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი და ახალწვეული მურთაზ ბურნაძე. მილანელი კახა კალაძე კი, საპატიო სტუმრად რომ მიუპატიჟებიათ კიევში, თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოსთან ერთად ტრიბუნიდან ქომაგობდა მშობლიურ კლუბს.

გეგუჩაძემ გუნდი თავისი საყვარელი 3-4-1-2 სქემით ათამაშა. დაცვაში გიგაური-სილაგაძე-კანდელაკი იყვნენ, ნახევარდაცვის ხაზში კანკავა-რომერო-ბურდული-ხმალაძე, შემტევი სამეული კი ახალაია-იაშვილი-კაკალაძე.

პირველი სახითაფო მომენტი 23-ე წუთზე „დინამოს“ კართან შეიქმნა — ანდრეი ნესტერუკის მახვილი კუთხიდან დარტყმულმა დავით გვარამაძის კარის ძელი შეაზანზარა. ხუთიოდ წუთში კი თბილისელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა და... ხიფათი ილია კანდელაკმა განმუხტა.

ტაიმის ბოლომდე უპირატესობა მოლდოველებს ჰქონდათ. ჩვენებს კი ბევრი წუნის გამო ხშირად თავდაცვაზე უწევდათ ფიქრი, თუმც ერთხელ ლადო ახალაიას შეეძლო გატანა, როცა მისმა დარტყმულმა შორეულ ძელს ჩაუზუზუნა.

შესვენებაზე გეგუჩაძემ ერთ შემტევსაც უხმო — გიორგი ანჩაბაძემ ხმალაძე შეცვალა. მალევე მოედანზე შაშიაშვილი, კაშია და კაკალაძეც გამოჩნდნენ და დაიწყო: „დინამო“ მეტოქის კარს მიაჯდა. თუმც, სამწუხაროდ, თბილისელებმა საგოლე მომენტის შექმნა ვერ შეძლეს, მათ შორეულ დარტყმებს კი შერიფელი სებასტიან ხუცანი იოლად უმკლავდებოდა.

განგაშის ზარმა 68-ე წუთზე ჩამოჰკრა — გვარამაძემ მასთან პირისპირ შეყრილ კუზნეცოვს ბოლოწამს აჯობა და გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა, ორიოდ წუთში კი ისიც უძლური შეიქნა: ივანოვმა 20 მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 0:1.

დინამოელებმა ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ ანჩაბაძის ჯარიმაც და ახალაიას „მაკრატელაც“ ხუცანმა ისე დამაჯერებლად გააუვნებლა, რომ მაყურებელთა ტაში დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, იანვარში ესენგეს თასზე „დინამოს“ მიერ დამარცხებულ-გალახულმა „შერიფმა“ შური იძია და ქართველების ძლევით ლობანოვსკის თასის ფინალში გავიდა. „დინამო“ კი ხვალ რიგის „სკონტოს“ მესამე ადგილისთვის მატჩში შეხვდება.

**ქახა შალამბერიძე**

### მეორე ნახევარფინალი

**დინამო (კიევი, უკრაინა) 1:0 სკონტო (რიგა, ლატვია)**

1:0 შაცკიხი (89)

**დინამო:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, იაცენკო, კადური, ალესანდრო (ალიევი 68), ბიდნენკო, ხაცკევიჩი (ლეკო 57), პეევი (შაცკიხი 57), გუსევი, ჩერნატი (გიოანე 60), კორნილენკო
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

**სკონტო:** პიედელსი, ზაკრეშევსკისი, ისაკოვსი, დედურა, ნგუიმბატსი, მენთეშაშვილი, კოლესნიჩენკო (ყიფიანი 72), სემიონოვსი, კორლალიძე (ბუიტკუსი 36), ბლანკსი (მიხოლაპსი 67), კალნინშსი
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი
გაფრთხილება: მენთეშაშვილი, კორნილენკო, კადური
მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)
7 500 მაყურებელი

# ოტო რეჰაგელმა რუსული თბილისის დინამო გაიხსენა



*აქამდეც გვითქვამს — ჩვენი მომავალი მეტოქის, საბერძნეთის ნაკრების თავკაცი ოტო რეჰაგელი მოუხელთებელი, საოცნებო რესპონდენტია ჟურნალისტებისთვის. იშვიათია, ვინმეს ბედმა გაუღიმოს და რეჰაგელს სიტყვა დასტყუოს, მაგრამ რეპორტიორობაში ხომ ერთგვარი აზარტია. აზარტი კი არც დროს დაგიდევს, არც მანძილს. ქვემოთ რეჰაგელთან დაკავშირებულ ერთ რეპორტიორულ ამბავს გაგაცნობთ, რომელიც ფრანკფურტში დაიწყო და ეინდჰოვენში დასრულდა.*

ჩვენმა სპორტ-ექსპრესელმა კოლეგამ ეფიმ შაინსკიმ ბევრი იჩალიჩა რეჰაგელთან ინტერვიუსთვის, ჯერ ყოველკვირეულ „კიკერში“ გერმანელ მეგობარ კოლეგას დაუკავშირდა, მიშველე რამე, შემახვედრე რეჰაგელსო. მძიმე შემთხვევაა, უთხრა გერმანელმა, მაგრამ მეგობრობის ხათრით დაპირდა რუს კოლეგას, ვთხოვ რეჰაგელს, იქნებ გამოვიდეს რამეო. რამდენიმე დღეში მოსკოველ რეპორტიორს, გერმანიაში რომ იმყოფებოდა და „სპორტ-ექსპრესს“ ფრანკფურტიდან აწვდიდა ინფორმაციებს, კიკერელმა დაურეკა — მართლაც მძიმე შემთხვევაა, არაფერი გამოდისო. ადგა ეს მოუსვენარი შაინსკი და ახლა „ბილდში“ დარეკა იქაურ ნაცნობთან. პასუხი იგივე იყო — მძიმე შემთხვევაა, რეჰაგელი აუღებელია.

ამასობაში რეჰაგელმა თავისი ბერძნები ეინდჰოვენში ჩაიყვანა ჰოლანდიასთან სათამაშოდ, ეს ჩვენი რუსი კოლეგა კი უკვე დიდ აზარტში იყო, ჰოდა, ჩახტა თავის მანქანაში და ჰაიდა ეინდჰოვენში.

ჩვენი გმირი იმ სასტუმროში მივიდა, სადაც ბერძნები იყვნენ გაჩერებულნი და ვესტიბიულში შესულს ნაკრების ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი შეხვდა. კაცი აზარტშია — მიშველე, რეჰაგელის ნახვა მინდაო და ისევ ნაცნობი სიტყვები — მძიმე შემთხვევაა, ვერაფრით დაგეხმარებიო. და ამ დროს თავად მეფე ოტო მოაბიჯებს. ეს ჩვენი შანსიანი შაინსკიც მიეჭრა და, უარს ნუ მეტყვით, თქვენი გულისთვის 500 კილომეტრი გამოვიარეო... მერე კი დიალოგი ასე გაგრძელდა:

— არავითარი ინტერვიუ, დრო არ მაქვს.

— როდის მოიცლით?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— ვიცი, რომ ესენში ცხოვრობთ, თუ ნებას დამრთავთ, სახლში გესტუმრებით...

— არავითარ შემთხვევაში.

— საერთოდ როგორ მოვახერხო თქვენთან ინტერვიუ?

— გაგზავნეთ წერილი საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციაში...

— კი მაგრამ, ეს ხომ დიდ დროს წაიღებს?

— არ მაინტერესებსო, თქვა რეჰაგელმა და სასტუმროს რესტორნისკენ გაემართა.

ჟურნალისტი უიმედოდ ჩაეშვა სავარძელში და მომდევნო ერთი საათი უსიამოვნო ფიქრში გაატარა, მერე კი მართლაც დიდი სასწაული მოხდა. რესტორნიდან გამოსული ოტო რეჰაგელი პირდაპირ ჩვენი გმირის სავარძლისკენ წავიდა და მეფური მოწყალებაც გაიღო: ხუთასი კილომეტრის ხათრით... დაიწყეთ, ცოტა დრო მაქვს...

საბერძნეთი საქართველომდე რუსეთის მეტოქეა ევროჩემპიონატზე და, ბუნებრივია, ყოჩაღი მოსკოველიც ძირითადად საბერძნეთ — რუსეთის მომავალ დაპირისპირებაზე დაეკითხა ჰერ ოტოს. ამდენად ინტერვიუ ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, თუმც ჩვენთვის საჩოთირო ერთ ფრაზას მაინც გადავაწყდით მასში. ორი ვარიანტია: ან ჩვენი ყოჩაღი კოლეგის დაუდევრობაა, ანაც მეფე შეცდა.

რუსულ ფეხბურთზე რა აზრის ხართო, ეკითხება ხუთასკილომეტრგავლილი...

— რუსულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები აქვს. კარგად მახსოვს, ჩემი „ვერდერი“ უეფას თასზე თქვენს „სპარტაკს“, თბილისისა და მინსკის „დინამოებს“ რომ შეხვდა. მაგარი თამაშები იყო, განსაკუთრებით „სპარტაკთან“ და თბილისელებთან გაგვიჭირდა — თქვა გერმანელმა.

საუბრის ბოლოს ბედნიერ ჟურნალისტს ოტომ ერთი რუსული ოცნებაც გაუმხილა — ძალიან მინდა, მოსკოვის ქუჩებში გასეირნება და დიდ თეატრში შესვლაო...

**ბაატა ქვანტალიანი**

# ბლოხინზე, პროტასოვზე და შევჩენკოზე წინ

*ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შარშან შოთა არველაძე წლის საუკეთესო ბომბარდირთა ათეულში შეიყვანა. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, არველაძე თავისი სამასამდე გოლით ყველა დროის მეგოლეთა 200-კაციან სიაშიც მოხვდა. ის განთქმულ საბჭოელ ბომბარდირებს, ბლოხინს, პროტასოვს და შევჩენკოსაც უსწრებს*



— სიმართლე გითხრათ, სულაც არ მეწყინება, შევჩენკო თუ გადამისწრებს. მას კარგად ვიცნობ, რამდენჯერმე შევხვედრივართ და ვგულშემატკივრობ. დღეს ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და მისი თამაშის ყურება დიდი სიამოვნებაა.

**—თქვენი სამასი გოლიდან ყველაზე მეტად რომელმა გაგახარათ?**

— თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი, მაშინ „იბერია“ ერქვა და ქუთაისის „ტორპედოს“ გავუტანე. ის ჩემი პირველი პროფესიული თამაში იყო. ცხონებულმა დავით ყიფიანმა მოედანზე გამიყვანა და თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შევაგდე. ქეცბაიამ ზუსტი პასი მომცა. „ტორპედოს“ კარის უკან ჩემი ძმა არჩილი იდგა და პირველი მას გადავეხვიე. ირლანდიური „ლინფილდისთვის“ გატანილმა გოლმაც ძალიან გამახარა — ევროთასებზე ეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გოლი იყო.

**— ყველაზე ლამაზი გოლი რომელი გამოგივიდათ?**

— ასეთი ბევრი იყო. შარშან კასეტაზეც კი ჩავიწერე ჩემი ყველაზე ლამაზი გოლები. ისევ „ლინფილდთან“ გატანილს გავიხსენებ — გრძელი პასი მივიღე, ბურთი მკერდით გავიჩერე, მინდორზე არ დამიშვია, მცველს თავზე გადავუგდე, ისევ დავიჭირე, გავისწორე, მეორე მცველს გავცდი და ცაციათი შორეულ კუთხეში დავარტყი. „აიაქსში“ და „რეინჯერსშიც“ რამდენიმე ძალიან ლამაზი გოლი გამიტანია.

**— და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი რომელი იყო?**

— ეს გოლი კიდევ გასატანი მაქვს. თუმცა არა, ჩემი უმნიშვნელოვანესი გოლები ჩემი შვილებია.

**— თქვენი საუკეთესო შედეგი, თუ არ ვცდები, ერთ მატჩში ოთხი გოლია...**

— არა, „ტრაბზონში“ ერთხელ ხუთიც გავიტანე. პოკერი კი „აიაქსში“ ორჯერ შევასრულე. ერთხელ კლუბის იუბილეზე, „სპარტას“ 9:0 მოვუგეთ.

**— ერთხელ თქვით, რომ პენალტი პირველად ჰოლანდიაში დაარტყით. საერთოდ, ხშირად არტყამთ ხოლმე?**

— არა. „დინამოში“ 18 წლისა მივედი და იქ იმ დროს ბევრი პენალტისტი იყო. „ტრაბზონში“ ჰამი ურტყამდა, „აიაქსში“ ლიტმანენს ვერ შევეცილებოდი.

**— მაგრამ „რეინჯერსში“ რამდენჯერმე დაარტყით...**

— ორჯერ უმნიშვნელოვანეს მატჩებში ვერ გავიტანე. მათ შორის, „სელტიკთან“ თასის ნახევარფინალში.

**— „რეინჯერსში“ სეზონის ჩაგდებას ტრაგედიად აღიქვამენ?**

— რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილები ვართ, მაგრამ თავის მოკვლა არავის გვიფიქრია. წარუმატებლობას ახსნაც აქვს — ნუმანი, ფერგიუსონი და კანიჯა გუნდიდან წავიდნენ, რონალდ დე ბურს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, ნერლინგერმაც ბევრი გამოტოვა, ემერსონმა და ნუნუ კაპუშუმ ბოლომდე ვერ გაამართლეს. ესენი და ალბათ ბერგი და მოლსიც გუნდიდან წავლენ.

**— რიკსენსაც ხომ არ უშვებენ?**

— ჯერჯერობით ჩვენთანაა.

**— რიკსენი თქვენი მეზობელი იყო და ამბობენ, ძალიან ხმაურობდაო, ღამე არ გაძინებდათ...**

— რიკსენი გლაზგოს ცენტრში გადავიდა საცხოვრებლად, მისი სახლი კი ზურაბ ხიზანიშვილმა იყიდა.

**— ხმა დაირხა, თითქოს „რეინჯერსთან“ კონტრაქტს აღარ გააგრძელებთ და „აიაქსში“ ბრუნდებით. თითქოს კუმანთან ამაზე უკვე ისაუბრეთ კიდეც...**

— კუმანი ამას წინათ მართლა ვნახე ამსტერდამში — მეგობრების სანახავად ვიყავი ჩასული. მაგრამ გადასვლაზე არ გვილაპარაკია. ერთმანეთს მივესალმეთ და სულ ეგ იყო.

**— ესე იგი, გლაზგოში რჩებით?**

— გაზეთებმა უკვე დაწერეს, რომ ახალ კონტრაქტს ხელს დღე-დღეზე მოვაწერ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

**— ტრავმები არ გასვენებთ, ქრონიკულად გექცათ?**

— 95 წლიდან ასეა. როცა თურქეთში პირველად გავიკეთე ოპერაცია, დიდი შეცდომა დავუშვი, მოშუშება არ ვაცალე, სათამაშოდ გავედი. მაშინ გამოუცდელი ფეხბურთელი ვიყავი და არ ვიცოდი, რომ ერთი თვე მაინც უნდა მომეთმინა. რჩევაც არავინ მომცა. მერე საქართველოს ნაკრებში ინგლისის წინააღმდეგ ნემსებდარჭობილმა ვითამაშე, რაც ასევე არაფრით შეიძლებოდა და შედეგად სამი თვე გამიცდა. ამის მერე ორი წელი უტრავმოდ ვითამაშე, 99-ში კი „აიაქსში“ ისევ დავშავდი და ტრავმა ქრონიკულად მექცა.

**— თქვენ ძალიან კარგად შეეწყვეთ თურქულ, ჰოლანდიურ, შოტლანდიურ ფეხბურთს. არადა, ეს სრულიად განსხვავებული ჩემპიონატებია. ასეთი კარგი ადაპტაციის საიდუმლო რაშია? გუნდებში გიმართლებთ?**

— არც უმაგისობაა. როცა კარგ გუნდში ხვდები, სადაც კარგი თანაგუნდელები გყავს, საქმე გიადვილდება. და საერთოდაც, ყოველთვის მიმართლებდა. ხომ იცით, როგორც ამბობენ, საუკეთესოებს უმართლებთ. ეს ხუმრობით, ისე კი, ყოველთვის ძალიან მონდომებული ვიყავი. დღემდე ყველა ძველ თანაგუნდელთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვს, არადა, თურქეთი და ჰოლანდია აბსოლუტურად განსხვავებული კულტურის, რელიგიის, ცხოვრების წესის მქონე ქვეყნებია.

**— როცა თავის დროზე საქართველოს ნაკრებში ანატოლი ბიშოვეცის შესაძლო დანიშვნის თაობაზე გკითხეთ, მიპასუხეთ, რომ თქვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაკი ნებისმიერ მწვრთნელთან გამონახავდით საერთო ენას...**

— მე მართლა ძალიან უკონფლიქტო ადამიანი ვარ. ამდენი წელია, ვთამაშობ და მხოლოდ ერთმა მწვრთნელმა მომიხსენია ცუდად, კუტივაძემ. თქვა, არველაძეს ვერაფრით ასიამოვნებო. არადა, მასთან ერთი დღეც არ მიმუშავია. უამრავი მწვრთნელი მყავდა — გიუნეში, ოლსენი, ადვოკაატი, მაკლიში, ადრიანსე, ჩივაძე, ყიფიანი, ძოძუაშვილი, გუცაევი. ყველანი განსხვავებული ხასიათის ადამიანები იყვნენ, მაგრამ კონფლიქტი არც ერთ მათგანთან არ მომსვლია.

**— კი მაგრამ, შუშაკს რომ წაეჩხუბეთ?**

— რუსეთთან მატჩის წინ მომხდარ ამბავს გულისხმობთ? საოცრად მინდოდა თამაში. ორ საათზე კრება იყო დანიშნული. რომ მივედი, კედელზე შემადგენლობა იყო გაკრული, სადაც სასტარტოში არ ვეწერე. არაფერი მითქვამს, ჩანთა ავიღე და წავედი. ასე ცხოვრებაში პირველად მოვიქეცი და ახლა ძალიან ვნანობ. უბრალოდ, იმაზე დამწყდა გული, რომ ჩემი უთამაშებლობა კედელზე გაკრული სიიდან გავიგე და არა მწვრთნელისგან. თორემ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არასდროს მიუკადრისია.

**— კარიერის მანძილზე თქვენზე უამრავი ჭორი დაირხა. ამბობდნენ, „ასტონ ვილაში“, „ბირმინგემში“, „გალათასარაიში“, „ფიორენტინაში“, „დორტმუნდში“, „ვენეციაში“, „ვალენსიაში“, „ბეტისში“ გადადისო. მართლა გქონდათ ასეთი ვარიანტები?**

— „ფიორენტინაში“ ფათიჰ თერიმი მიწვევდა, სამჯერ მქონდა მასთან საუბარი. გული მწყდება, „მილანში“ მისული მერე რომ აღარ დამიკავშირდა. ერთხელ ვუთხარი კიდეც, რა იქნებოდა, „მილანიდანაც“ შემხმიანებოდით-მეთქი. თურქული კლუბები დღესაც მეპატიჟებიან. „რეინჯერსამდე“ „ბეტისთან“ მქონდა მოლაპარაკება. 96-ში „დეპორტივოში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს ვიყავი. სხვა ვარიანტებზე კი ალბათ მხოლოდ ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმა იცის.

**— რამდენი ხანია, მასთან თანამშრომლობთ?**

— 95 წლიდან. ყოველდღე ვსაუბრობთ.

**— მის ფუნქციებში რა შედის?**

— ჩვენი ურთიერთობა დიდი ხანია, საქმიანს გასცდა და მეგობრულად გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რაიმე კონკრეტული ფუნქცია აღარც აქვს. რთულ მომენტებში გვერდით მიდგას, ხოლო როცა ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, ცხოვრებით ვტკბებით.

**— ეგზოტიკურ ჩემპიონატებში, მაგალითად, ყატარში ან იაპონიაში თამაშზე არ გიფიქრიათ?**

— ფეხბურთთან განშორება ძალიან მიჭირს. ამიტომ როცა ვიგრძნობ, რომ მაღალ დონეზე თამაში აღარ შემიძლია, ალბათ ყატარში წასვლაზეც ვიფიქრებ. რატომაც არა?! იქ სულ მზეა და საქართველოდანაც არ არის შორს. იქამდე კი მაქსიმალურად ვეცდები, დიდ ფეხბურთში ყოფნის დრო გავიხანგრძლივო. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მინდა თამაში. რამდენიმე წელს კიდევ გავძლებ, მაგრამ მეეჭვება, 40 წლამდე გავქაჩო. ისე, შეიძლება, კარიერა რუსეთშიც დავასრულო. ქართველები რუსულ ფეხბურთს კარგად ეწყობიან და საუკეთესო ლეგიონერებადაც ითვლებიან.

**— „აიაქსისთვის“ თქვენ ბევრი გააკეთეთ და კლუბმაც ბევრი რამ მოგცათ. მაგრამ თქვენი კარიერის აიაქსური პერიოდი ორ უსიამოვნო ისტორიასაც უკავშირდება. ერთი მათგანი თურქული ტრანსფერისას დაშვებულ ფინანსურ დარღვევებს უკავშირდება და, მგონი, ჰოლანდიურ ციხეში ჯდომაც მოასწარით...**

— კი, ციხეში ორი ღამე გავატარე. იქ სვირინგის გაკეთება ვერ მოვასწარი, მაგრამ კედელზე წარწერა კი დავტოვე: „მე მიყვარს თავისუფლება.“ სერიოზულად კი, ამ საქმის გამო გამოძიება მალე დამთავრდება.

**— „აიაქსის“ ხელმძღვანელობასთანაც გქონდათ კონფლიქტი. თითქოს შანტაჟს გიწყობდნენ, კონტრაქტს ხელს თუ არ მოაწერ, განაცხადში არ შეგიყვანთ და უთამაშებელს დაგტოვებთო...**

— ეგრე იყო. მაშინ მწვრთნელი კო ადრიანსე გამომექომაგა. კონფლიქტი კი მხოლოდ ერთ კაცთან მქონდა, ლეო ბეენჰაკერთან. ის ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა და პირადი მიზნები ჰქონდა.

**— ბეენჰაკერი, მგონი, მექსიკაში გაიქცა, ამბობდნენ, ამსტერდამში მოკვლით ემუქრებოდნენო...**

— კი, გაიქცა, ოღონდ მე ნაღდად არ დავმუქრებივარ. თუმცა მას საქმეები სწორედ ჩემთან კონფლიქტის მერე აეწეწა. კარგად ვთამაშობდი და კარგად ვიქცეოდი. რა ჩემი ბრალია, თუ კონტრაქტის ვადა მეწურებოდა?! ახალი კონტრაქტის პირობები კი არ მაკმაყოფილებდა. როცა კონტრაქტზე ხელი არ მოვაწერე, რამდენიმე მატჩი გამომატოვებინეს. ადრიანსემ კი პრესაში გულახდილად თქვა, ზემოდან მავალებენ, არველაძე არ ათამაშოო. ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. ბრიუსელიდან ადვოკატებმაც დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი უმუშევრად დატოვების უფლება კლუბს არ ჰქონდა და დახმარებას დამპირდნენ. სწორედ იმ პერიოდში გლა[illegible] დიკ ადვოკაატი შემეხმიანა და თავისთან მიმიწვია.

**— „აიაქსი“ იოლად შეგელიათ?**

— ჩემს ტრანსფერში დიდი ფული აიღეს.

**— 98-ში „აიაქსის“ 4 ათასი აქცია რომ გაჩუქეს, ისევ გაქვთ?**

— კი, ვინახავ.

**— ფასი არ მოემატათ?**

— როცა მაჩუქეს, ერთი აქცია 25 გულდენი ღირდა. მერე „აიაქსს“ სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა და ფასმა 5 გულდენამდე დაიკლო. ახლა, ორი წარმატებული სეზონის მერე, ალბათ ისევ მოიმატა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ზუსტი ფასი არ ვიცი.

**— ვისი დამსახურებაა თქვენი კარგ თავდამსხმელად ჩამოყალიბება?**

— პირველ რიგში, მშობლების და საერთოდ, მთელი ჩემი ოჯახის. მათ ყველაფერი გააკეთეს, მე და ჩემი ძმა დიდ ფეხბურთში რომ მოვხვედრილიყავით.

**— ამბობენ, ბავშვობაში ცეკვაზეც დადიოდით...**

— საქართველოში ყველა ცეკვავს. დედაჩემი კარგად ცეკვავდა. თუმცა მე და არჩილი ცეკვის სექციაში არ დავდიოდით. გიორგი ქინქლაძე დადიოდა.

**— იმასაც ამბობდნენ, ძმებ არველაძეებს თბილისის „დინამოს“ ყიდვა უნდოდათო...**

— საბჭოთა კავშირის დაშლის მერე „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო, მაგრამ პრობლემები შეუქმნეს და აიძულეს, კლუბიდან წასულიყო, რის მერეც „დინამოს“ მეპატრონე ისევ შსს გახდა. თუმცა პოლიცია „დინამოს“ დიდ ყურადღებას არ აქცევდა და სწორედ მაშინ რამდენიმე მეგობართან ერთად კლუბის დახმარება გადავწყვიტეთ. „დინამო“ ხომ უბრალოდ კლუბი არ არის, ის ქართველებისთვის ოჯახის ნაწილია. ზუსტ თანხებს არ დაგისახელებთ, მაგრამ კლუბს მნიშვნელოვანი დახმარება გავუწიეთ და კრიზისიდან ამოვიყვანეთ. მიხარია, რომ ახლა „დინამო“ საიმედო ხელშია, ბადრი პატარკაციშვილი კლუბის განვითარებისთვის ყველაფერს აკეთებს.

**— ცუდ ხასიათზე ხშირად ხართ? თუ „მისტერ ბინის“ მეტსახელს ყოველთვის ამართლებთ?**

— ცუდ ხასიათზე მხოლოდ მაშინ ვარ, როცა არ მათამაშებენ. ისე კი, განწყობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული — ცოლი, შვილები, ახლობლები როგორ არიან.

**— იდეალურ ნაკრებში ვის შეიყვანდით...**

— პირველ რიგში, ჩივაძეს, ყიფიანს და მარადონას. თუმცა ყიფიანს და მარადონას 10-ნომრიანი მაისურისთვის ჩხუბი მოუვიდოდათ. კარში ვან დერ სარს ჩავაყენებდი. დაცვაში ჩივაძეს მალდინის და ნესტას ამოვუყენებდი. ჰო, მიქაელ ლაუდრუპიც აუცილებლად იქნებოდა. ნახევარდაცვაში ქინქლაძე, ზიდანი და არჩილ არველაძე. გული კი მწყდება, რომ ჩემს უფროს ძმას რევაზს ადგილი არ ერგო, მაგრამ პირობას ვაძლევ, შეცვლაზე შევიყვანდი და ბოლო 25 წუთს ვათამაშებდი.

**ალექსანდრ ბობროვი**

**СПОРТ ЭКСПРЕСС**

ეროვნული ბიბლიოთეკა




შეელევა ლაპორტა რონალდინიოს?

# იქ, იახტაზე

## ლაპორტამ აბრამოვიჩს რონალდინიო 66 მილიონად დაუფასა

„ჩელსის" უფროსობას ამცნეს, რომ თუ მათ მართლა უნდათ რონალდინიოს ყიდვა, „ბარსელონას" 66 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადონ.

ორი კლუბის წარმომადგენლები რომან აბრამოვიჩის იახტაზე, მონტე კარლოში შეხვდნენ ერთმანეთს და ეს თანხაც იქ ითქვა.

„ჩელსის" შეფი პიტერ კინიონი, ჯერ კიდევ „მანჩესტერში" უფროსობისას ცდილობდა რონალდინიოს ყიდვას. ახლა მან იცის ფასი და ყველაფერი მისტერ ჩელსკიზე, აბრამოვიჩზეა დამოკიდებული.

ტრანსფერის ამჟამინდელი მსოფლიო რეკორდი, 45 მილიონი გირვანქა, სამი წლისაა — ამდენი გადაუხადა „რეალმა" „იუვენტუსს" ზინედინ ზიდანში.

„ბარსას" 200 მილიონ დოლარიანი ვალი აქვს და რონალდინიოს ფასიც აქედანაც მოდის. კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ თქვა, რომ „ჩელსის" გარდა სხვა გუნდებსაც ელაპარაკება ჯადო-ბრაზილიელის ტრანსფერზე.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კარგი ფეხბურთელი ცუდი ხასიათით

## ბელეტი და ბარსელონა ერთმანეთს მოუხდებიან

მომავალი სეზონიდან კატალონიური „ბარსელონას" დაცვას ამჟამად „ვილიარელის" უკანახაზელი, ბრაზილიელი ჟულიანო ბელეტი გააძლიერებს. ორივე კლუბის ხელმძღვანელობას უკვე გაუმართავს საქმიანი თათბირი და შეთანხმებულან, რომ ბელეტი „კამპ ნოუზე" 3,7 მილიონ ევროდ გადაბარგდება. თავიდან „ვილიარეალი" თურმე 5 მილიონს ითხოვდა, თუმცა „ბარსას" „ვილიაში" განათხოვრებულ მეკარე რეინაზე უარი უთქვამს და ბრაზილიელის სატრანსფერო ფასიც ამიტომ შემცირებულა.

27 წლის ბელეტი ევროკავშირელია (ორმაგი პასპორტით სარგებლობს) და მიუხედავად იმისა, რომ რთული ხასიათის გამო „ვილიას" ხელმძღვანელობასთან გარკვეული უთანხმოებანი ჰქონდა, მის საფეხბურთო ოსტატობას ესპანეთში არავინ უარყოფს. ბელეტი დაცვაშიც შესანიშნავად ირჯება და თავისი გუნდის იერიშებშიც საკმაოდ იღბლიანად ერთვება. „ჟულიანოს სწორედ ისეთი გუნდი სჭირდებოდა, როგორიც „ბარსელონაა". იქ მის შესაძლებლობებს ყველა ახლებურად დაინახავს" — განუცხადა ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოს" ფეხბურთელის პირადმა აგენტმა. ამრიგად, „ბარსა" თავის რიგებში კარგ მობურთალსა და კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონს მიიღებს — ბელეტი, რონალდინიოს მსგავსად, 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალის ოქროსმედალოსანია.

**ლადო ხომერიკი**



ჟულიანო ბელეტი

# ვინ თქვა, რანიერი მიდისო?!

## ჩელსის ფანობამ კინიონი შეახურა

„ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა კლუბის გულშემატკივრებთან შეხვედრაზე თქვა, რომ კლაუდიო რანიერის გათავისუფლება გუნდის მენეჯერის პოსტიდან სულაც არ არის გადაწყვეტილი ამბავი.

მედიით გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ „სტემფორდ ბრიჯის" ფანობაში პოპულარულ იტალიელს სეზონის დამთავრებისთანავე ჟოზე მაურინიუ შეცვლის, ძალიან გადაჭარბებული ყოფილა. „გადაწყვეტილი არაფერია, — უთხრა კინიონმა გულშემატკივრებს. — კლაუდიოს სამი წელიწადი კიდევ დარჩა ჩვენთან.

კლუბის თავმჯდომარემ, ბრუს ბაკმა იმავე შეხვედრაზე თქვა, რომ მენეჯერის საკითხი რამდენიმე კვირაში გაირკვევა და კლუბს ჯერჯერობით მართლაც არა აქვს შეთანხმება რომელიმე სხვა მწვრთნელთან.



კლაუდიო რანიერი



პიტერ კინიონი

ზოგიერთმა გულშემატკივარმა გვარიანად შეუტია კინიონს, რანიერი ზეწოლის ქვეშ გყავდათო, რაზეც კინიონმა მიუგო, რომ ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს მენეჯერთან შეთანხმების გარეშე.

კინიონმა ასევე განაცხადა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი წავა და რამდენიმე მოვა, ხოლო ფრენკ ლამპარდი ნამდვილად არ გადავა „მანჩესტერში".

შეხვედრაზე მივიდა „ჩელსის" ყოფილი თავმჯდომარე კენ ბეიტსი, რომელსაც გულშემატკივრები ტაშით შეხვდნენ და რომელმაც გვარიანად შეახურა კინიონი და ბაკი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ესპანეთის არჩევანი საპატეროა, საპატეროსი ბარსელონა




**ესპანელებს** რომ ფეხბურთი უყვართ, საყოველთაოდ ცნობილია. პირენეელთა ახალი პრემიერის, ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს რომელიმე გუნდისადმი თავგადაკლული ქომაგობაც არავის გააკვირვებს. ეს გუნდი კატალონიური „ბარსელონაა".

სენიორ საპატერო ბარსელონურ „სპორტთან" მასლაათისას ალბიონური „ჩელსის" მიერ ბარსელთა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის, ბრაზილიელი რონალდინიოთი დაინტერესების გამო უკმაყოფილობას გამოთქვამს. „ძალიან არ მომწონს აბრამოვიჩის ფულიანი შემოთავაზებები რონალდინიოს მისამართით. რონი „ბარსელონას" და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, ამიტომ მისი გაყიდვა გუნდს უზარმაზარი ზარალის გარდა არაფერს მოუტანს" — განაცხადა საპატერომ.

სოციალისტური პარტიის ლიდერს კატალონიური გრანდის ქომაგობა თურმე მადრიდელ ამომრჩეველთა ხმებსაც აკარგვინებს. „მახსოვს, ერთი წლის წინ ვილაცამ დამირეკა და მითხრა, მთელი შეგნებული ცხოვრება სოციალისტების მხარდამჭერი ვარ, ახლა კი, თუ „ბარსას" ქომაგობას გააგრძელებ, არჩევნებში ჩემს ხმას ველარ ეღირსებიო" — ღიმილით იგონებს „პრემიერი. ცხადია, საპატეროსთვის ხმების დაკარგვა სასიამოვნო არ უნდა იყოს, მაგრამ იგი „ბარსას" გამო ამგვარ მსხვერპლზეც მიდის. პრემიერს არც მადრიდის „რეალი" დავიწყებია, სამეფო კლუბისა და ესპანურ არჩევნებში სოციალისტებთან დამარცხებული სახალხო პარტიის ურთიერთკავშირებზეც ირონიულად ილაპარაკა. „ბევრს ეგონა, რომ „რეალი" ამ სეზონის პრიმერადივიზიონში ყველაფერს მოიგებდა, მაგრამ გაგიმხელთ და მე უკვე 21 თებერვალს, „თეთრების" მძლავრობის დროს ვიცოდი, პერესის კლუბს საქმეები უკუღმა რომ შემოუტრიალდებოდა. ტელევიზიით ვნახე, ვალენსიაში სახალხო პარტიის საარჩევნო კამპანიაზე ჩვენი ოპონენტების გვერდით ბუტრაგენიოც იჯდა — მაშინ ვთქვი, ამათ გამარჯვება არ უწერიათ-მეთქი"...

მომხდარ მოვლენებზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ადვილია, თუმცა თუ პრემიერმა მართლაც ასე იწინასწარმეტყველა, ბრწყინვალე ალღო ჰქონია — ბუტრაგენიოს „რეალმა" საამსეზონოდ ყველა ტიტული დაკარგა, ხოლო სახალხო პარტიას საპატეროს სოციალისტები ჩაენაცვლნენ. აქვე ვთქვათ, რომ ესპანეთის წინა პრემიერი, სახალხოელი ხოსე მარია ასნარი, ახლანდელი თავკაცის მსგავსად, ფეხბურთის დიდი ქომაგი იყო, ოღონდ მისი სიყვარული მადრიდის „რეალის" ინჩასობაში გამოიხატებოდა.

**ლადო ხომერიკი**

# სასწაული რამეა
## ფეინდუნოს ტყვილად გააქვს, რამე ტყვილად იღებს

### საფრანგეთი

1 დივიზიონი. XXXVI ტური

**ლანსი 1:3 ოსერი**

0:1 ლაშუერი (22), 1:1 ა. კულიბალი (31), 1:2 ლ. მატისი (74), 1:3 ჯ. სისე (89)

**ბორდო 3:0 პსჟ**

1:0, 2:0 ფეინდუნო (22, 49), 3:0 შამახი (75)
გაძევება: დეუ (45, პსჟ), რეინალდო (88, პსჟ)



„ბორდო" — პსჟ. პასკალ ფეინდუნომ პარიზელებს ფეხები ააშვერინა

ბორდოში მარცხმა პსჟ-ს საჩემპიონო შანსი შეამცირა. მასპინძელთან მეგოლე პასკალ ფეინდუნომ ფრიადზე ითამაშა და დუბლი შეასრულა. პარიზელებს უიღბლო დღე ჰქონდათ, მოსაგებად ჩასული გუნდი აჭრილი იყო და მასპინძლებმა მეტოქეს აშკარად აჯობეს.

ფეინდუნომ ანგარიში ტაიმის შუაში გახსნა - საჯარიმოში ეულად მიტოვებულ ჟერომ ალონზოს იოლად გაუტანა.

შესვენებამდე წუთით ადრე პსჟ-მ პენალტი მოინაგრა. დავიდ ჟემალიმ რეინალდო წააქცია და თერთმეტმეტრიანი ფრედერიკ დეუმ შეასრულა. წესით, პენალტებს პედრუ პაულეტა არტყამს, მაგრამ პორტუგალიელმა მისია კაპიტანს დაუთმო, დეუმ კი სუსტად დაჰკრა და ბურთი ულრიხ რამემ მოიგერია.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ბორდომ" კიდევ იხეირა. ფეინდუნო დეუს გასცდა და ზუსტი დარტყმით ალონზო უსაქმოდ დატოვა.

მასპინძელთა საჯარიმოში პედრუ პაულეტას წაქცევისთვის მსაჯმა პსჟ მეორე პენალტით დაასაჩუქრა. სტუმრებმა ძლვენი კვლავ ვერ შეირგეს. ბურთი დანიელ ლუბოიამ აიღო, მაგრამ რეინალდომ არ დაანება, მე დამითმეო. ბრაზილიელმა კაპიტანივით უხეიროდ დაარტყა, კვლავ ულრიხ რამემ იყოჩაღა.

მესამე გოლი პარიზელთა კარში შამახმა გაიტანა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი დეკომ უშნოდ მოიგერია და ბორდოელმა ფორვარდმა ახლოდან შეაგდო.

პსჟ-ს მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი, ცხადია, დალონებული იყო: „ეს ლოგიკური მარცხია, რადგან ცუდად ვითამაშეთ. ორი თერთმეტრიანი ვერ გამოვიყენეთ და რაღა ვთქვა? ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს მეტი მოეთხოვება".

ულრიხ რამე: „პენალტის დროს ვცდილობ, დამრტყმელი დავთრგუნო. ვფიქრობ, რეინალდოზე იმან იმოქმედა, რომ პირველი დეუს არ გავატანინე, ბრაზილიელი აშკარად ანერვიულდა".

სტუმრად „სოშოს" ძლევის (3:0) შემდეგ ლანსელები შინ „ოსერთან" შთამბეჭდავად ველარ გამოიყურებოდნენ. სტუმრები იან ლაშუერის წყალობით დაწინაურდნენ. კაპიტანმა ცაციით კოხტად გაიტანა.

სოშოელმა ამადა კულიბალიმ მალე თავურით გაათანაბრა. მეორე ტაიმის დასაწყისში დანიელ მორეირას ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი — მექსეშს და ბუმსონგს ჩაურბინა, მაგრამ მეკარე ფაბიენ კოლს ვერ აჯობა.

მორეირა სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წასვლას აპირებს: „ოთხწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. ჯამაგირზე ვერ მოვრიგდით და ალბათ სხვა გზას მოვნახავ" — თქვა ფორვარდმა.

ოსერელებმა შეხვედრის ბოლო თხუთმეტ წუთში მეტოქეს ორჯერ გაუტანეს. ლიონელ მატისმა და ჯიბრილ სისემ იტანჟე თითო გოლით დაასაჩუქრეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ლიბერტადორესის თასი 2004

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

***სანტოსი (ბრაზილია)*** **2:0(პენ.5:3) ლიგა დე კიტო (ეკვადორი) (2:4)**
1:0, 2:0 დიეგო (2, 50)

***რივერ პლეიტი (არგენტინა)*** **1:2(პენ.4:2) სანტოს ლაგუნა (მექსიკა) (1:0)**
0:1 ალტამირანო (25), 0:2 ვუოსო (49), 1:2 მ. სალასი (74)

**ამერიკა (მექსიკა) 1:1** ***სან კაეტანო (ბრაზილია)*** **(1:2)**
1:0 ნავია (20), 1:1 ტრიგინიო (79)

# ღმერთის და პოლიციის იმედად

მეხიკოში, ლიბერტადორესის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩის, „ამერიკა"—„სან კაეტანოს" დასრულების მერე ბრაზილიელი ფეხბურთელები მოედნის ცენტრში საცოდავად შეიყუჟნენ და ღმერთს თუ პოლიციას გადარჩენას ევედრებოდნენ.

ამ გუნდების პირველი მატჩი სანკაეტანოელებმა 2:1 მოიგეს, მეხიკოში კი მასპინძლები 1:0 იგებდნენ და როცა ბრაზილიელებმა გაათანაბრეს, სტადიონზე ვითარება დაიძაბა.

დენთის სუნი კი წამატებულ დროში დატრიალდა. „ამერიკას" კვატემოკ ბლანკო გაუძევეს, თამაშის დასრულებამდე წამებით ადრე კი „სან კაეტანოს" კარში მსაჯმა პენალტი არ დანიშნა — კაეტანოელმა ანდერსონ ლიმამ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ჰოდა, ცხადია, დაიწყო...

გულშემატკივრებმა ათასგვარი საგნის სროლით დაიწყეს, „იარაღი" რომ გამოელიათ, სკამების აგლეჯით და სროლით გააგრძელეს, ბოლოს კი მოედანზე თავადაც შეიჭრნენ.

ბედად, პოლიციამ იყოჩაღა და თავდასხმელები მოიგერია.

**კოტე კეკელია**



# ზალდომ ამოროზო გლაზგოში გამოფინა

**მარსიო ამოროზო** აგენტ ნივალდო ბალდოსთან ერთად, რომელიც ფეხბურთელის ექიმიცაა, გლაზგოშია. ბრაზილიელი ფეხბურთელი „სელტიკთან" ვარჯიშობს და ცდილობს, იქაურებს თავი მოაწონოს.

„უდინეზესა" და „პარმას" ყოფილი მოთამაშე ბოლო ხანს დორტმუნდის „ბორუსიაში" იყო, მაგრამ შარშანდელი სექტემბრის შემდეგ დორტმუნდელთა ძირითად შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა. ბრაზილიელს ფეხის ტრავმა გაუმიზეზდა და გერმანელ ექიმებს გაუწყრა, საქმისა არაფერი გაგეგებათო.

შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა და იქ მკურნალობდა. ამოროზოს შვებულება გაუტკბა და ევროპაში დაბრუნებას აღარ აპირებდა. „ბორუსიას" შეფებმა მას ულტიმატუმი წაუყენეს, ან ჩამოდი ან კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის უეფაში გიჩივლებთო.

ფეხბურთელი გაზაფხულის დასაწყისში დორტმუნდში დაბრუნდა. შეფებმა კლუბის აბუჩად აგდება არ აპატიეს და კონტრაქტი ნაადრევად გაუუქმეს.

ამჟამად მარსიო ამოროზო თავისუფალია და „სელტიკი" მის სანაცვლოდ „ბორუსიას" ფულს აღარ გადაუხდის.

ბრაზილიელი „თეთრ-მწვანეებთან" ვარჯიშობს, თან შოტლანდიელი ექიმები ჯანმრთელობას უმოწმებენ.

შეგახსენებთ, „სელტიკის" მეგოლემ, ჰენრიკ ლარსონმა წასვლა გადაწყვიტა და ბრაზილიელს შანსი აქვს, შვედის ადგილი დაიკავოს.

„სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ონილი ამჟამად გლაზგოში არ არის და ამოროზოს მისი თანაშემწე სტივ უოლფორდი აკვირდება. „ჩვენ კლუბის სამომავლო მიზნებზე ვისაუბრეთ. ჯამაგირის საკითხსაც გავარკვევთ. მთავარია, ამოროზო გუნდს მოერგოს" — თქვა უოლფორდმა.

ფეხბურთელის აგენტმა ნივალდო ბალდომ კი განაცხადა: „ძალიან კარგად დაგვხვდნენ და სავარაუდოდ, კონტრაქტსაც გავაფორმებთ. მე და ჩემს კლიენტს მოგვწონს შოტლანდია და ვიმედოვნებთ, რომ ტურისტებივით მალე არ გაგვაბრუნებენ".

**ვაჟა ხუციშვილი**



მარსიო ამოროზო

### შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXVII ტური

**დანდი იუნ. 3:2 დანფერმლაინი**

1:0 ჩ. მილერი (8), 2:0 აინსი (23), 3:0 სკოტლენდი (30), 3:1 ბულენი (34), 3:2 ს. კროუფორდი (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 30 | 4 | 2 | 102:23 | 94 |
| რეინჯერსი | 36 | 24 | 6 | 6 | 73:30 | 78 |
| ჰართსი | 36 | 17 | 11 | 8 | 52:38 | 62 |
| დანფერმლაინი | 37 | 14 | 11 | 12 | 43:49 | 53 |
| დანდი იუნ. | 37 | 13 | 10 | 14 | 46:58 | 49 |
| მოზერუელი | 36 | 12 | 9 | 15 | 39:45 | 45 |
| ჰიბერნიანი | 37 | 11 | 11 | 15 | 40:56 | 44 |
| ლივინგსტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 44:54 | 40 |
| დანდი | 36 | 10 | 10 | 16 | 44:56 | 40 |
| კილმარნოკი | 36 | 11 | 5 | 20 | 45:72 | 38 |
| აბერდინი | 36 | 9 | 7 | 20 | 38:57 | 34 |
| პარტიკ თისლი | 37 | 6 | 7 | 24 | 37:65 | 25 |

### დანია ევრო 2004-ზე

***მეკარეები:*** *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი), სტეფან ანდერსენი (აკადემისკი);*

***მცველები:*** *თომას ჰელვეგი (ინტერი, იტალია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია);*

***ნახევარმცველები:*** *თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), მორტენ ვიგჰორსტი (ბრონდბიუ), დანიელ იენსენი (მურსია, ესპანეთი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), დენის რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია);*

***თავდამსხმელები:*** *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ებე სანდი (შალკე, გერმანია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია)*

ოფიციალურ განაცხადში ჯერჯერობით 21 ფეხბურთელია, ორის ვინაობასაც მწვრთნელი მორტენ ოლსენი მომავალ კვირაში დაადგენს.

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### ოკეანეთი. I საკვალიფიკაციო წრე

A ჯგუფი. II ტური

**სოლომონის კ-ები 5:0 კუკის კ-ები**

**ტაიტი 0:0 ახალი კალედონია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოლომონის კ-ები | 2 | 2 | 0 | 0 | 11:0 | 6 |
| ტაიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ახალი კალედონია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტონგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |
| კუკის კ-ები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

III ტური: 15 მაისი

**სოლომონის კ-ები — ახალი კალედონია**

**ტონგა — კუკის კ-ები**






ხორხე ვალდანო ბექემს და რონალდოს „ჩელსიში“ არ უშვებს

# ვალდანო ბექჰემს არ ყიდის

## რეალის ახალ პროგრამაში აიალა და ტოტია

**„რეალ მადრიდის“** სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ კლუბი არ მიიღებს არანაირ შეთავაზებას და არ შეელევა რონალდოსა და დევიდ ბექემს.

„ჩვენ კმაყოფილები ვართ ამ მოთამაშეებით და მათი იმედი გვაქვს ახალ სეზონში. ბექემის ყიდვა წარმატებული საქმე იყო — თქვა ვალდანომ — რონალდოც არსად წავა. ჭორებია, თითქოს „ჩელსიში“ ვუშვებდეთ“.

„რეალს“ განახლების პროგრამა შეუმუშავებია: ძველ ფეხბურთელებს ახლები ემატებიან — „სოსიედადის“ ხაბი ალონსო, ვალენსიელი მცველი ფაბიან აიალა და რომაელი ფრანჩესკო ტოტი.

აქამდე ამბობდნენ, რომ ახალი ფეხბურთელების ყიდვას „რეალი“ მაშინ თუ მოახერხებს, როცა თავის რომელიმე ვარსკვლავს შეელევაო, მაგრამ ვალდანო ამას მტკიცედ უარყოფს.

მან თქვა: „ბექემს პირადი პრობლემები ჰქონდა. ეს იმის ბრალია, რომ დევიდი პრესის განსაკუთრებული სამიზნეა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში მან მაღალ დონეზე გაიარა სეზონი“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტელევიზორთან წამონწოლა გადაიდო

## მაცონემ ცოლს ბოლონიასთან უღალატა



*კარლო მაცონე კიდევ ერთი წლით რჩება. სად რჩება? „ბოლონიაში“, უფრო სწორად კი ფეხბურთში. ხუმრობა ხომ არ არის, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა უკვე 67 წლისაა, ხოლო კლუბში მუშაობისთვის ეს საკმაოდ დიდი ასაკია.*

საგულისხმოა, რომ სანამ მაცონე „ბოლონიასთან“ ახალ, ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერდა ხელს, ითქვა, რომ იგი შესაძლოა, „ფიორენტინაში“ გადასულიყო, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ „ფორენტინა“ სერია A-ში აღზევებას შეძლებდა, მაგრამ ვეტერანმა ტაქტიკოსმა იმთავითვე ასე განაცხადა:

„ან „ბოლონიაში“ დავრჩები ან სულ წავალ ფეხბურთიდან. სხვა გუნდში გადასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს, თუმც ვადასტურებ, რომ წინადადებები მართლაც მივიღე. ერთი სიტყვით, ჩემი საბოლოო პასუხია „ბოლონია“ ან არაფერი“.

ხოლო ამ განცხადების მეორე დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მაცონემ „ბოლონიას“ კონტრაქტზე ხელი მოუწერა.

„საქმე ის არის, რომ ოთხი თუ ხუთი წელიწადია, მეუღლეს შინ ხშირად ყოფნას ვპირდები — აღიარა ვეტერანმა — მეგონა, ახლა მაინც შევასრულებდი სიტყვას და ტელევიზორის წინ წამოვწვებოდი, მაგრამ თავს ჯერ კიდევ მწვრთნელად ვგრძნობ და ფეხბურთისადმი ინტერესიც არ გამქრალა“.

„კარლო მაცონესთან ხელშეკრულების გაგრძელება დიდი სიამოვნებაა — თქვა „ბოლონიას“ პრეზიდენტმა რენატო ჩიპოლონიმ — აგრეთვე დიდი სიამოვნებაა ამის სახალხოდ გამოცხადება: მაცონე ჩვენთან კიდევ ერთ წელიწადს დარჩება“.

**პაატა ძიძია**

# შენ ხომ ჩემი ლანდი ხარ...

## კანს რომ უვარდება, სიმონას ბრალია

*გერმანული „ბილდის“ კალმოსანთა მთავარი სამიზნე ჯერჯერობით კვლავ ოლივერ კანია, რომელსაც ვარჯიშებზე ისევ ყოფილი ცოლი სიმონა ელანდება. ეს ყოფილა მიზეზი იმისა, რომ ხშირად მეკარეს ბურთი ხელიდან უვარდება.*

ქმართან განშორების შემდეგ სიმონა ფსიქოლოგთან მისულა. ექიმმა ლერმერმა ქალი ასე დაახასიათა: „ის ჩემი პაციენტია. თავიდან უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ ნელ-ნელა შემეჩვია და გული გადამიშალა. მითხრა, რომ ბავშვებს მამა ენატრებათ, თვითონ კი ოლივერთან განშორება შვილებმა გადაატანინეს. ახლა ცდილობს, 17-წლიანი თანაცხოვრება დაივიწყოს და ახალი ოჯახის შექმნაზე ფიქრობს“.

საინტერესო ამბავი: სიმონა მავან კაცთან უნახავთ, რომელსაც ტომასი ჰქვია და უძრავი ქონების მაკლერია.

ექიმ ლერმერის თქმით, ტომასი გარეგნულად ძალიან ჰგავს ოლივერ კანს.

ბილდელები სიმონას მეგობარ კაცს დაუკავშირდნენ. მან მოკლედ მოჭრა: „მე და სიმონა მეგობრები ვართ და არ გვსურს, ვინმე ჩვენს საქმეში ჩაერიოს“.

ოლივერ კანის მამა როლფი: „ოლივერი ძალიან



ოლივერ კანი ვეღარც ყოფილ ცოლს ეხუტება და ვეღარც თასს

გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწია. არ ვიცი, სიმონასა და ჩემს შვილს შორის ამჟამად რა ხდება“.

სიმონა დედამთილ-მამამთილს ხშირად სტუმრობს და ოლივერის ძმა აქსელთანაც კარგი ურთიერთობა აქვს.

„ბილდის“ ბოლო ინფორმაციით, ოლივერი და სიმონა ერთადაც უნახავთ, გოლფს თამაშობდნენო.

**გაჟა ხუციშვილი**




**ნორვეგიელი** ოლე გუნარ სოლსკიაერი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში სავარაუდოდ, ბოლოჯერ ითამაშებს. მას გლაზგოს „სელტიკი“ ეპატიჟება, რომელიც ფეხბურთელის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონ გირვანქას იხდის. სოლსკიაერმა წლეულს თავი ვერაფრით გამოიჩინა, ჯერ მუხლის ტრავმა სტანჯავდა, მერე კი დარენ ფლეტჩერის, ლუი საჰას და კრისტიანო რონალდოს კონკურენცია ვერ დასძლია, რამაც კლუბის დატოვება გადააწყვეტინა. ოლე გუნარ სოლსკიაერი „მანჩესტერში“ 1996 წელს „მიოლდედან“ გადაბარგდა და კლუბის მაისურით დღემდე ჩატარებულ 328 მატჩში, 115 გოლი გაიტანა.

**უელსის** ნაკრების თავკაცმა მარკ ჰიუზმა ნორვეგიისა და კანადის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისთვის 30 ფეხბურთელი გამოიძახა. ჰიუზს სურს, ყველა სასურველი მოთამაშე აქედანვე საქმეში ნახოს, რადგანაც ფიქრობს, უეფა რუსეთს დისკვალიფიკაციას მისცემს და ევროპის ჩემპიონატზე სწორედ უელსი გაემგზავრება. „იმედი მაქვს, რომ პორტუგალიაში წავალთ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეიძლებოდა და მჯერა, უეფა სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს“ — აღნიშნა ჰიუზმა.

**იტალიურ** პრესაში ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, „რომას“ ნახევარმცველ ოლივიე დაკურით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა და შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ფრანგი ესპანეთში გადაბარგდესო. თუმცა, დაკურმა ქომაგები მაშინვე დაამშვიდა, არსად წამსვლელი არ ვარო: „რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენით ისეთი კლუბი ინტერესდება, როგორიც „რეალია“, მაგრამ რომის დატოვების არავითარი სურვილი არ მაქვს. ვოცნებობ, კარიერაში დიდ წარმატებებს სწორედ „რომას“ მაისურით მივაღწიო“ — აღნიშნა დაკურმა.

**ჩეხეთის** ნაკრები ევრო 2004-ის წინ ლიხტენშტაინს აღარ შეხვდება. ასე ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა — ლიხტენშტაინთან მატჩის ნაცვლად ნაკრები ავსტრიაში, ქალაქ ზიფელდში გაემგზავრება სავარჯიშოდ და ერთ-ერთ მესამედივიზიონურ კლუბს გაეჯიბრება. 2 და 6 ივნისს კი ჩეხებს ბულგარეთთან და ესტონეთთან აქვთ დაგეგმილი ამხანაგური მატჩები.

**გერმანული** პრესის ცნობით, ბრაზილიელ ლუსიოსთვის ბრძოლაში სერიოზულად ჩაერთო მილანის „ინტერიც“. როგორც ამბობენ, მასიმო მორატი მილანელთა უკანა ხაზის მთლიანად გადახალისებას აპირებს და სატრანსფერო სეზონში მისი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ ლუსიო იქნება. ბრაზილიელის სანაცვლოდ მორატი მზადაა, „ლევერკუზენს“ 15 მილიონი ევრო ჩაუთვალოს. ასევე არ გამორიცხავენ „შავ-ლურჯების“ რიგებში „რომას“ ფრანგი მცველის, ჯონათან ძებინას გადაბარგებასაც.

**უნგრეთის.** ნაკრებისა და გერმანული „შტუტგარტის“ ფორვარდი იმრე საბიჩი კლუბის გამოცვლას არ აპირებს. ავსტრიული „შტურმის“ ყოფილი თავდამსხმელსადმი ინტერესი ცოტა ხნის წინ რომის „ლაციომ“ გამოთქვა, მაგრამ იტალიელებს ხელი მოეცარათ. „გავიგე, რომ „ლაციოს“ ჩემი გადაბირება სურდა, მაგრამ „შტუტგარტთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და აქედან წასვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ“ — თქვა საბიჩმა.

**ფრანგ** მცველ ჯონათან ძებინას „რომასთან“ კონტრაქტი ერთი თვის შემდეგ ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. თუმცა, არ არის გამორიცხული, მან დედაქალაქელებთან ახალი შეთანხმება გააფორმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძებინას ახალი კლუბის პოვნა არ უნდა გაუჭირდეს, მისით არაერთი კლუბია დაინტერესებული. ცოტა ხნის წინ ძებინამ თქვა, თუ „რომაში“ არ დავრჩი, შესაძლოა „მილანში“ გადავიდეო. მაგრამ, „მილანზე“ მეტად მცველის გადაყვანა, თურმე „ინტერს“ სურს და დიდი შანსია, მომავალი სეზონი ჯონათან ძებინამ „შავ-ლურჯ“ მაისურაში დაიწყოს.

**იტალიის** ნაკრებმა მომავალი ამხანაგური მატჩი 30 მაისს აფრიკის ჩემპიონ ტუნისთან დანიშნა. შავი კონტინენტის ჩემპიონები „სკუადრა აძურას“ თავიანთ დედაქალაქში — რომელსაც ქვეყნის მსგავსად ტუნისი ჰქვია — უმასპინძლებენ. ჯოვანი ტრაპატონის გუნდისთვის ეს ბოლო გენერალური რეპეტიცია იქნება ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე.

**ინგლისური** „ბოლტონი“ მიუნხენის „ბაიერნის“ მარცხენა მცველს, ბიქსენტ ლიზარაზუს ეპატიჟება. ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, ეროვნული გუნდის ფეხბურთელს ბავარიელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, მიუნხენელებსაც ახალი თანამშრომლობის სურვილი თურმე არ ჰქონიათ. ერთი სიტყვით, თუ ისურვებს ლიზარაზუ, ნისლიან ალბიონზეც თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდება.

**სენეგალის** ნაკრების ნახევარმცველ ხალილუ ფადიგას გუშინ ბელგიაში გულის ოპერაცია გაუკეთეს. ფრანგული „ოსერის“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ახლა მილანის „ინტერის“ საკუთრებაა, თავს ნორმალურად გრძნობს. ის, ჯერ მხოლოდ 29 წლისაა..

**იტალიური** „მილანის“ ბრაზილიელი პლეიმეიკერი კაკა, გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, სეზონის ბოლოს 2004 წლის სერია A-ს ჯენტლმენად დასახელდება. გაზეთისვე მტკიცებით, კაკა იტალიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულსაც მოგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები



## იან რაში

*როდესაც გადავწყვიტეთ „სარბიელის“ მკითხველისთვის ჩვენი რუბრიკის მორიგ გმირად იან რაში წარგვედგინა, ისე მოვიქეცით, როგორც ჩვეულებრივ ვიქცევით ხოლმე: ჩავუჯექით არქივსა და ინტერნეტს, ხოლო როდესაც უელსელ ვარსკვლავზე საკმარისი მასალა შევაგროვეთ და მთელი ეს ფურცლები გადავიკითხეთ, ძალიან იოლად მივაგენით დღევანდელი წერილის ორ შესაძლო დასაწყისს. გთავაზობთ ორივეს*

## არცერთი სიტყვა თამაშზე



**იან რაში და უელსის ნაკრები თბილისს 1994 წლის ნოემბერში სტუმრობდნენ, მაშინ საქართველოს ნაკრებმა 5:0 მოიგო. ნამატჩევს „სარბიელი“ რაშს სასტუმრო მეტეხში ესაუბრა**

# ერთი წერილის ორი შესავალი
## ეს რაში თბილისსაც უნახავს

**ვარიანტი პირველი:** რა უპირატესობა აქვს „ლივერპულს“ უელსის ნაკრებთან? ალბათ ის, რომ ნაკრებმა ფეხბურთელი რომ ათამაშოს, ეს ფეხბურთელი გარდა იმისა, რომ ძლიერი უნდა იყოს, უელსელიც უნდა გამოდგეს, ხოლო „ლივერპულისთვის“ ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. მას შეუძლია ვინც მოეწონება, ის გადაიბიროს, თან... თუ საჭიროა, მტრად მოკიდებული „ევერტონის“ ქომაგთა რიგებიდანაც კი.

სწორედ ასე მოიქცა „ლივერპული“, როდესაც უელსური ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, უძლიერესი თავდამსხმელი იან რაში იყიდა. არადა, რაში „ევერტონის“ თავგადაკლული ქომაგი გახლდათ და ამ გუნდში ბობ ლეტჩფორდის მხარდამხარ თამაშზე ოცნებობდა.

**ვარიანტი მეორე:** გახსოვთ კომუნისტების დროინდელი „ვამბობთ ლენინი, ვგულისხმობთ პარტიას“. ვერ გეტყვით, რამდენად გულწრფელნი იყვნენ ეს წითლები, მაგრამ სხვა წითლებზე ნამდვილად შეიძლება ასეთივე რაღაც ითქვას: „ვამბობთ იან რაშს, ვგულისხმობთ „ლივერპულს“. დიახ, უელსელი ფორვარდი და ინგლისური კლუბი გადაბმული ცნებებია.

— ყმაწვილობაში „ჩესტერ სიტიდან“ „ლივერპულში“ გადავედი და თოთხმეტი წელი ამ გუნდში გავატარე. თავიდანვე ლივერპულელობა მინდოდა, ამ გუნდს იმთავითვე კარგად ვიცნობდი — ამბობს იან რაში...

ახლა კი, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რა განსხვავებაა ამ ორ შესავალს შორის?

თავად მოგახსენებთ, პირველი ვარიანტი მოძიებული მასალების მიხედვით დავწერეთ, მეორე კი ციტატა გახლავთ... ჩვენი საკუთარი ინტერვიუდან.

ეს ასე მოხდა: 1994 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოს თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ეწვია და მოლაპარაკებების შემდეგ, წვიმიან საღამოს, საბანკეტოდ სასტუმრო „მეტეხში“ მიბრძანდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა გადაკეტილ-გადმოკეტილი იქნებოდა დღევანდელი „შერატონის“ მიმდებარე ტერიტორია? არადა ჩვენ, „სარბიელის“ სამი ჟურნალისტი უელსის ნაკრების ფორვარდს, მაშინ უკვე ლეგენდარულ ლივერპულელს, იან რაშს უნდა შევხვედროდით. დილით გვითხრა, საღამოს ვილაპარაკოთო — უელსი თბილისში ევრო 96-ის შესარჩევი მატჩისთვის ჩამოვიდა და, თუ გახსოვთ, 0:5 წააგო. დემირელის ბანკეტი, ბედად, ჩვენთვის საბოლოოდ მაინც მოსახერხებელ დროს დასრულდა და „მეტეხში“ შევედით. უელსელები სწორედ რომ ნავახშმი ბრძანდებოდნენ და მოსასვენებლად ნომრებისკენ მიდიოდნენ. მახსოვს, რაში გვევაჭრა, ახლა უკვე გვიან არის, ველარ დაგელაპარაკებითო. სულ ცოტაო, ვთხოვეთ. კარგი, ხუთი წუთიო, მოგვიგო შეწუხებულ-დაკავებული კაცის სიმკაცრით. საათი დავანახე, ვინიშნავ-მეთქი და დავიწყეთ. ახლა, რომ გადავიკითხე, დიდი ვერაფერი ინტერვიუ გამოგვსლია, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ საუბარში რესპონდენტი გაიხსნა და მისდა უნებურად თხუთმეტი წუთი დაგვითმო...

აი, ახლა კი ნამდვილად დროა გავიხსენო, რომ ეს წერილი ჩემზე და ჩემს კოლეგებზე კი არა, იან რაშზეა და როგორც წესია, ისე მოვყვე:

იან ჯეიმს რაშს ცხრა და-ძმა ჰყავს, თვითონ ბოლოსწინაა. დაბადებულია 1961 წლის 20 ოქტომბერს უელსში, სენტ-ასაფში. ჰყავს თავისი ოჯახიც, ორი ვაჟი. თამაშობდა ძირითადად „ლივერპულში“, თუმცა ერთი წელიწადი, შუაში, „იუვენტუსში“ გაატარა. იტალიაში მაინცდამაინც ვერ მოიკიდა ფეხი, 29 შეხვედრაში მხოლოდ 7 გოლი გაიტანა. იმხანად თავად „იუვენტუსიც“ ცუდი გუნდი იყო, ასე რომ, არ აეწყო და... კარიერის ბოლო უელსელმა ფორვარდმა ზუსტად ვერ შეარჩია, ხან „ლიდსში“ წავიდა, ხან „ნიუკასლში“, „შეფილდ იუნაიტედსა“ თუ „რექსჰემში“ და ყოველივე ამის მერეღა მიხვდა, რომ წვალობდა. ნაკრებში რაღა უნდა ექნა? უელსი უელსია, რაშით თუ რაშის გარეშე. მოკლედ, რაშს არც ევროპის ჩემპიონატზე უთამაშია და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე, საკლუბო დონეზე კი იცოცხლეთ, საუკეთესო წლებში იფრინა,

„ჩესტერ სიტიდან“ ახალგაზრდა ბიჭის ყიდვა — თან ძალიან ძვირად, 300 ათას გირვანქად — „ლივერპულის“ დიდ მწვრთნელს, ბობ პეისლის მავანმა ჯეფ თვენთიმენმა ურჩია. შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რაშმა თავიდან ვერაფერი გააწყო, კაპიკის სალირალი ვერაფერი გააკეთა, ხოლო, როდესაც 1981 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში პეისლიმ განაცხადშიც არ შეიყვანა, განაწყენდა.

აქ, დიდი სიამოვნებით მინდა ჩავურთო, რომ იმ 81-ში, როდესაც „ლივერპულმა“ რაშის გარეშე დაამარცხა „რეალი“ და ჩემპიონთა თასი მოიგო, თბილისის „დინამომ“ „კარლ ცაისს“ აჯობა და თასების თასი მოიპოვა.

ერთი სიტყვით, რაშმა პეისლის საყვედური უთხრა. მეტიც, ძირითადშიც მუდმივი ადგილი და ხელფასის მომატება მოსთხოვა, რაზეც პეისლიმ რაღაც მამაშვილური შინაარსის პასუხი გასცა. ამან რაში გააცოფა და წასვლა მოითხოვა. პეისლიმ, რა გიყო, შვილო, წადიო.

რაში არ წავიდა და „ლივერპულის“ ვარსკვლავი გახდა, ჩემპიონთა თასი 1984-ში მოიგო, 85-ში კი „ეიზელზე“, „იუვენტუსთან“, იმ ტრაგიკულ მატჩში წააგო.

შემდეგ, როგორც გითხარით, უელსელი „იუვეში“ გადავიდა.

— იტალიელები კარგი ხალხია და კარგი გულშემატკივრები ჰყავთ, უბრალოდ „იუვენტუსის“ მაშინდელ ფეხბურთელებს მათი დაკმაყოფილება არ შეეძლოთ — უთხრა რაშმა „სარბიელის“ სამ კორესპონდენტს, მათ რიცხვში მეც.

— იტალიაში აბეზარი ხალხი ცხოვრობს. ისინი აუცილებლად უნდა გამოგელაპარაკონ, მხარზე ხელი დაგიტყაპუნონ, შენთან ფოტო გადაიღონ. იქ ფეხბურთზე ყველა გიყდება და ვერავინ ხვდება, რომ ეს ძალიან ცუდია — უთხრა რაშმა სხვას, მე კი ეს სიტყვები წავიკითხე.

მეტი რა? „იუვედან“ უელსელი „ლივერპულში“ დაბრუნდა და კიდევ რვა სეზონი ახარებდა „ენფილდ როუდზე“ შეკრებილი საზოგადოების გულებს, ხოლო შემდეგ ზემოხსენებულ გუნდებს მოედო.

ხოლო, როდესაც კარიერა დაასრულა, დაარსა თავდამსხმელების (!) სკოლა, სადაც ბავშვებს ასე ეუბნება: „თუ მხოლოდ და მხოლოდ ძლიერად დაარტყამთ, გოლის გატანის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზე გექნებათ, ხოლო თუ სიძლიერეზე მეტად სიზუსტეს მიაქცევთ ყურადღებას, ვთქვათ, კუთხეში ან მეკარის საყრდენი ფეხის ქვეშ გაუშვებთ ბურთს, მაშინ შანსი ოთხმოც პროცენტამდე გაგეზრდებათ“.

**პაპუნა ბედია**





**1984 წელს იან რაშმა და „ლივერპულმა“ ჩემპიონთა თასი მოიგეს**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტური

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 002 | არსენალი-ლესტერი | 1,25 | 4,8 | 11,0 | 1 | 1,12 | 3,34 |
| 19.00 | 003 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 004 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 005 | ბოლტონი-ფულემი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 006 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 007 | ჩელსი-ლიდსი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 19.00 | 009 | სიტი-ევერტონი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 010 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 011 | ვულვერჰემპტონი-ტოტენჰემი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი.

14 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 051 | კრისტალ პალასი-სანდერლენდი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 052 | იფსვიჩი-ვესტ ჰემი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 053 | ჰარტლპული-ბრისტოლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 054 | სუინდონი-ბრაიტონი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |

### ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 055 | ლინკოლნი-ჰადერსფილდი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 056 | ნორთჰემპტონი-მენსფილდი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

### ინგლისი. კონფერენსი. პლეი-ოფი. ფინალი

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 061 | შრიუსბერი-ალდერშოტი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. XXXVI ტური

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 077 | ეარი-რეითი | 2,2 | 3,4 | 2,6 | 1,33 | 1,19 | 1,47 |
| 19.00 | 078 | ბრეჩინი-კლაიდი | 6,0 | 4,2 | 1,4 | 2,47 | 1,13 | 1,04 |
| 19.00 | 079 | ინვერნესი-სტ.ჯონსტონი | 1,35 | 4,2 | 6,0 | 1,02 | 1,1 | 2,47 |
| 19.00 | 080 | ქუინი-ფოლკირკი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| 19.00 | 081 | სტ.მირენი-როსი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. XXXVI ტური

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 083 | ერდრი-მორტონი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 19.00 | 084 | ბერიკი-არბროთი | 2,9 | 3,6 | 2,0 | 1,6 | 1,18 | 1,28 |
| 19.00 | 085 | დამბარტონი-ალოა | 1,45 | 4,0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 19.00 | 086 | ფორფარი-ჰამილტონი | 5,0 | 3,8 | 1,5 | 2,15 | 1,15 | 1,07 |
| 19.00 | 087 | სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 3,8 | 3,8 | 1,6 | 1,9 | 1,12 | 1,12 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. XXXVI ტური

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 089 | კოუდენბითი-სტირლინგი | 4,4 | 3,8 | 1,6 | 2,03 | 1,17 | 1,12 |
| 19.00 | 090 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 4,0 | 3,8 | 1,7 | 1,94 | 1,19 | 1,17 |
| 19.00 | 091 | პიტერჰედი-მონტროუზი | 1,6 | 3,6 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,93 |
| 19.00 | 092 | ქუინზ პარკი-გრეტნა | 3,5 | 3,6 | 1,75 | 1,77 | 1,16 | 1,17 |
| 19.00 | 093 | სტრანრარი-ალბიონი | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 012 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.30 | 013 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.30 | 014 | აინტრახტი-ბოხუმი | 2,7 | 3,4 | 2,2 | 1,5 | 1,21 | 1,33 |
| 18.30 | 015 | მიუნხენი-ჰერტა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.30 | 016 | კიოლნი-ჰანზა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.30 | 017 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 18.30 | 018 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,75 | 2,9 | 5,3 | 1,09 | 1,31 | 1,87 |
| 18.30 | 019 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 020 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური

13 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 209 | ბეზანსონი-ტრუა | 1,7 | 3,2 | 4,2 | 1,11 | 1,21 | 1,81 |
| 23.30 | 210 | ლორიანი-ანჟე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.45 | 211 | სტ.ეტიენი-გენიონი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,14 | 1,19 | 1,76 |

### ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი

13 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 259 | ტუბეკე-ოსტენდე | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 23.00 | 260 | გეელი-რუზელარე | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |

### დანია. სუპერლიგა. XXX ტური

13 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 318 | ნორდსიელანდი-ოლბორგი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| 22.00 | 319 | აკადემისკი-ოდენსე | 4,2 | 3,8 | 1,65 | 1,99 | 1,18 | 1,15 |
| 22.00 | 320 | ჰერფიოლგე-ესბიერგი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 22.00 | 321 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 22.00 | 322 | ფრემი-ვიბორგი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 23.00 | 323 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

### შვედეთი. ალსვენსკა. VII ტური

13 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 360 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 22.00 | 361 | ჰელსინგბორგი-იორგრიტე | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.00 | 362 | ტრელებორგი-იორებრო | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 23.00 | 363 | აიკ-ჰამარბი | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1,46 | 1,22 | 1,32 |

### შვედეთი. სუპერეტა. IV ტური

13 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 377 | ბოდენსი-გეფლე | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 390 | ბოდიო გლიმტი-ტრომსიო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 391 | ლინი-სტაბეკი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 21.00 | 392 | ბრანი-ჰამარი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 21.00 | 393 | ფრედრიკსტადი-სოგნდალი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 21.00 | 394 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 21.00 | 395 | რუსენბორგი-მოლდე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.05 | 396 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 398 | ჰიოდი-ალესუნდი | 3,4 | 3,5 | 1,8 | 1,72 | 1,17 | 1,18 |
| 21.00 | 399 | მანდალი-ჰაუგესუნდი | 2,05 | 3,5 | 2,9 | 1,29 | 1,2 | 1,58 |
| 21.00 | 400 | პორს გრენლანდი-სკეიდი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 21.00 | 401 | რაუფოსი-ჰიონეფოსი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 21.00 | 402 | სანდეფიორდი-ბრინი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 21.00 | 403 | სტრიომსგოდსეტი-მოსი | 2,4 | 3,5 | 2,35 | 1,42 | 1,18 | 1,4 |
| 21.00 | 404 | ტრომსდალენი-კონგსვინგერი | 3,5 | 3,6 | 1,75 | 1,77 | 1,16 | 1,17 |
| 21.00 | 405 | ვარდ ჰაუგესუნგი-სტარტი | 4,8 | 3,8 | 1,55 | 2,12 | 1,17 | 1,1 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 415 | ლაჰტი-მიუპა | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 20.30 | 416 | ტურკუ-ინტერი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 20.30 | 417 | ჰაკა-ტამპერე | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 20.30 | 418 | ჯაზი-ტპ 47 | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 20.30 | 419 | კტპ-ჰიკ | 4,4 | 3,4 | 1,7 | 1,91 | 1,22 | 1,13 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 430 | უოტერფორდი-ბოჰემიანი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 23.45 | 431 | კორკი-შემროკი | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| 23.45 | 432 | შელბურნი-დერი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.45 | 433 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 434 | ლონგფორდი-დუბლინი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 477 | ბუდეიოვიცე-სლავია | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 20.00 | 478 | ლიბერეცი-ჟიჟკოვი | 1,7 | 4,0 | 2,5 | 1,19 | 1,01 | 1,53 |
| 20.00 | 479 | სინოტი-ბლშანი | 1,8 | 1,8 | 5,0 | 1 | 1,32 | 1,32 |
| 20.00 | 480 | სიგმა-პლზენი | 1,1 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,21 |
| 20.00 | 481 | ოპავა-ბანიკი | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| 20.00 | 482 | პრჟიბრამი-ბრნო | 2,3 | 1,7 | 3,3 | 1 | 1,35 | 1,12 |
| 20.00 | 483 | ტეპლიცე-ზლინი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 20.00 | 484 | სპარტა-იაბლონეცი | 1,25 | 3,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,67 |
| | | **პორტუგალია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 628 | პორტუ-ბენფიკა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **ბრაზილია. თასი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 04.30 | 634 | კორინთიანსი-ვიტორია | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 02.30 | 641 | ნასიონალი-ტახირა | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 03.05 | 638 | კრუზეირო-დეპორტივო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 07.30 | 642 | ონსე კალდასი-ბარსელონა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 1003 | ფილადელფია-ტამპა ბეი | 1,95 | 3,5 | 3,0 | 1,25 | 1,18 | 1,61 |
| 07.00 | 1004 | კალგარი-სან ხოსე | 2,1 | 3,5 | 2,7 | 1,31 | 1,18 | 1,52 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 1011 | სიენა-ვარეზე | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 23.30 | 1012 | სკავოლინი-ნაპოლი | 1,35 | 10,0 | 2,6 | 1,18 | 1 | 2,06 |
| 23.30 | 1013 | ბენეტონი-კანტუ | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 23.30 | 1014 | სკიპერი-რომა | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 1125 | რეალი-ესტუდიანტესი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 1142 | ირაკლისი-პაოკ | 1,5 | 10,0 | 2,1 | 1,3 | 1 | 1,73 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 05.00 | 1165 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |


კოკა-კოლა
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა
ფეხბურთი
დავით ყიფიანის
თასის ფინალი
დინამო თბილისი
VS
ტორპედო ქუთაისი
26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00
პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5502 | არსენალი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ბოლტონი-ფ'ულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ჩარლტონი-სა'უთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ჩელსი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლივერპ'ული-ნი'უკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | სიტი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | პორტსმ'უთი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ვ'ულვერჰემპტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ფრაიბ'ურგი-ჰამბ'ურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | აინტრახტი-ბოხ'უმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | მი'უნხენი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | კიოლნი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ვერდერი-ლევერკ'უხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰანოვერი-ვოლფსბ'ურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | შალკე-კაიზერსლა'უტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | დორტმ'უნდი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5002 | არსენალი-ლესტერი | 3,6 | 2,1 | 2,5 | 1,32 | 1,47 | 1,14 |
| 5003 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1,4 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,56 |
| 5004 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5005 | ბოლტონი-ფ'ულემი | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1,41 |
| 5006 | ჩარლტონი-სა'უთჰემპტონი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5007 | ჩელსი-ლიდსი | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5009 | სიტი-ევერტონი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5010 | პორტსმ'უთი-მიდლსბრო | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5011 | ვ'ულვერჰემპტონი-ტოტენჰემი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5012 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5013 | ფრაიბ'ურგი-ჰამბ'ურგი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5014 | აინტრახტი-ბოხ'უმი | 3,2 | 2,15 | 2,6 | 1,28 | 1,43 | 1,17 |
| 5015 | მი'უნხენი-ჰერტა | 2,9 | 2,15 | 3,1 | 1,23 | 1,49 | 1,26 |
| 5016 | კიოლნი-ჰანზა | 2,9 | 2,15 | 3,1 | 1,23 | 1,49 | 1,26 |
| 5017 | ვერდერი-ლევერკ'უხენი | 2,7 | 2,15 | 3,1 | 1,19 | 1,44 | 1,26 |
| 5018 | ჰანოვერი-ვოლფსბ'ურგი | 2,1 | 1,85 | 6,5 | 1,58 | 1,58 | 3,25 |
| 5019 | შალკე-კაიზერსლა'უტერნი | 2,25 | 2,1 | 4,4 | 1,08 | 1,48 | 1,42 |
| 5020 | დორტმ'უნდი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | არსენალი-ლესტერი | 1,5 | 17,0 | 40,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 20,0 | 18,0 | 20,0 |
| 5103 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5104 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5105 | ბოლტონი-ფულემი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5107 | ჩელსი-ლიდსი | 1,6 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,6 | 15,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 5109 | სიტი-ევერტონი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5110 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5111 | ვულვერჰემპტონი-ტოტენჰემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5112 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5113 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5114 | აინტრახტი-ბოხუმი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5115 | მიუნხენი-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5116 | კიოლნი-ჰანზა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5117 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5118 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,2 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5119 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5120 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ათი წელი უსენოდ
# აღსასრული

დასაწყისი იხ. „სარბიელი" №97

ეროვნული ბიბლიოთეკა


აირტონ სენა საბედისწერო ავარიამდე ნახევარი საათით ადრე

*ბრაზილიაში 2004 წელი აირტონ სენას წლინადად გამოცხადდა. ქვეყანა ათი წლის წინათ დაღუპულ თავის სათაყვანებელ „ჯადოქარს" „ეფერება. თვეს და რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს — მაშინ სამდღიანი ეროვნული გლოვა იყო, წლეულს 366-ივე დღე აირტონისაა.*

*მთელი ბრაზილია მას აღმერთებდა. ფეხბურთელთა ნაკრებმა იმ წელს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ თანამემამულეს მიუძღვნა.*

*სენაზე მეორე წერილის გამოსაქვეყნებლად 13 მაისი შემთხვევით არ შეგვირჩევია. სწორედ დღევანდელ დღეს, 54 წლის წინათ „დაიბადა" ფორმულა ერთი — ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის პირველი რბოლა გაიმართა. მაისი, სამწუხაროდ, სხვა მხრივაცაა გამორჩეული, ვარდების თვეში ყველაზე მეტი, 13 მრბოლი დაიღუპა. მათ შორის სამეფო რბოლების უგვირგვინო ლეგენდა ჟილ ვილნევი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალბერტო ასკარი, სამგზისა აირტონ სენა...*


აირტონ სენას ძეგლი იმოლას ავტოდრომზე

## ბედისწერა

ფრენკ უილიამსის გუნდში გადასვლა სენას ბედისწერა ყოფილა. ცხადია, ეს ნაბიჯი შემთხვევით, მოულოდნელად არ გადაუდგამს. თეთრ-წითელა „მაკლარენით" სამჯერ გაჩემპიონებას (1988, 90, 91) ორი შედარებით უხეირო სეზონი მოჰყვა. „მაკი" ქარივით სწრაფ „უილიამსთან" ბრძოლაში აშკარად ველარ „ქაჩავდა", მეორეხარისხოვან პოზიციებზე ყოფნა კი ბუნებით მაქსიმალისტ აირტონისთვის მიუღებელი იყო. ამიტომაც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიჟინა „უილიამსში" გადასვლა. საქვეყნოდ ისიც განაცხადა, თანახმა ვარ, სულაც უჯამაგიროდ ვირბოლოო. არადა, „მაკლარენში" იმ დროისთვის გაუგონარ ხელფასს, ყოველთვიურ მილიონნახევარ დოლარს იღებდა. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის უმთავრესი იყო საღიდერო, საჩემპიონო შედეგისთვის ბრძოლა — ისე ცხოვრებას რა აზრი აქვსო — და არა ფული, რაც მრბოლთა უმეტესობისთვის დღესაც ამოსავალი წერტილია.

ერთი სიტყვით, „ჯადოქარს" მეოთხე ტიტულის იმედი გაუჩნდა და სპორტისთვის კრიტიკულ, ქრისტეს ასაკის მიუხედავად, წასვლაზე არც კი ფიქრობდა: „ჯერ შორსაა ის დღე, როცა საკუთარ თავს ვეტყვი — აირტონ, შენი შესაძლებლობები ამოწურე. იქნებ, ასეთი მომენტი სულაც სიკვდილთან ერთად მოდის. ყოველ შემთხვევაში, მისი დრო ჯერ არ დამდგარა."

საუბედუროდ, თეთრ-ლურჯა მანქანამ მას გვირგვინის ნაცვლად სიკვდილი მოუტანა.

## დაწყევლილი იმოლა

ოპტიმიზმის მიუხედავად, სეზონი ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტისთვის კატასტროფულად დაიწყო — პირველ ორ ეტაპზე „მფრინავმა" „უილიამსმა" ფინიშამდეც კი ვერ მიიყვანა. თუმც ნულოვანი შედეგის მიუხედავად, აირტონს უგუნებობის არაფერი ეტყობოდა. მომდევნო იყო ჩქაროსნული და პილოტ-ბოლიდის ტექნიკისადმი უაღრესად მომთხოვნი „იმოლა", მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ტრასა და სწორედ იქ, იტალიაში აპირებდა ვითარების გამოსწორებას+ჩემპიონატი ახლა იწყებაო.

მაგრამ სან-მარინოს მე-14 დიდი პრიზის გათამაშება თავიდანვე დაინავსა. პარასკევს ვარჯიშისას საშინელი ავარია შეემთხვა სენას უმცროს თანამემამულეს და მეგობარს რუბენს ბარიკელოს. აირტონი მას ჰოსპიტალში წაჰყვა და მანამდე არ მოსცილებია, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ რუბინიოს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

მეორე დღეს — უარესი: კვალიფიკაციისას სასიკვდილოდ დაიმტვრა ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერი, რამაც, ბუნებრივია, ყველა მრბოლზე დამთრგუნველად იმოქმედა. სენამ იმ საღამოს პორტუგალიაში თავის საცოლე ადრიანას დაურეკა. იგი უჩვეულოდ შეშფოთებული ჩანდა: „ეშმაკმა დალახვროს, ახალგაზრდა ავსტრიელი დაიღუპა, ეს მისი მხოლოდ მესამე ეტაპი იყო. ვიცი, რომ იგი ტრასაზევე მოკვდა, მაგრამ ისინი აცხადებენ, კლინიკაში გარდაიცვალაო. იცი, ხვალ რბოლაში გამოსვლა არ მინდა."

რაცენბერგერის სიკვდილის ადგილის დაკონკრეტებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ დამტკიცდებოდა, რომ იგი ტრასაზე დაიღუპა, იტალიური კანონებით, ავტოდრომი უნდა დალუქულიყო და მეორე დღეს რბოლაც აღარ შედგებოდა, რაც, როგორც შემდგომ გამოჩნდა, სენას სიცოცხლეს გადაარჩენდა, მაგრამ...

აირტონმა კვალიფიკაციაც გაიგრძელა და ყველას აჯობა, კვირას კი საკუთარ თავსაც სძლია, რბოლაში ჩაება და იმ საბედისწერო მოსახვევ „ტამბურელოში" ტრაგედიამდეც ყველაზე წინ იყო.

რბოლა ადგილობრივი დროით ორ საათზე დაიწყო, მაგრამ მაშინვე შეჩერდა, რადგან პედრო ლამის „ლოტუსი" დაძვრისთანავე უკნიდან მიახეთქა შეფერხებულ ჯეი-ჯეი ლეჰტოს „ბენეტონს" და მარცხენა მხარე მოათალა. დალეწილი მანქანების ნაწილები დამცავ ბარიერს გადააფრინდა და ტრიბუნაზე ცხრა ადამიანი დააშავა. ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გავიდა და ხუთი წრე ქარავანი მშვიდ რეჟიმში ატარა, მერე კი მოუშვა და ორიოდ წუთში ის საშინელებაც მოხდა: საკმაოდ გლუვ და სწრაფ „ტამბურელოს" წინ სენას მანქანა მარცხნივ გახვევის ნაცვლად ტრასიდან ტყვიასავით გავარდა და თითქმის 200-კილომეტრიანი სიჩქარით ბეტონის კედელს მიეხეთქა. მომტვრეული ბორბლის ღერძი აირტონს თავში მოხვდა, ჩაფხუტი გაგლიჯა და საფეთქელში შეერჭო. ამის ალბათობა მილიონიდან ერთი თუ იყო, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. იქვე გაჩნდნენ ექიმები, ტრასაზე საავარიო ვერტმფრენიც დაჯდა და რამდენიმე წუთში დაშავებული ჰოსპიტალში წაიყვანეს, ადგილზე კი უზარმაზარი წითელი ლაქა დარჩა — სენამ ოთხ ლიტრამდე სისხლი დაკარგა.

მედიკოსებს რა თქმა უნდა, ცდა არ დაუკლიათ, რამდენიმე საათი ორგანიზმი ელექტროსტიმულატორებზე იყო მიერთებული, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა.

ცხადია, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტრასის მეპატრონეებისა და „უილიამსის" ხელმძღვანელობის მიმართ. ხანგრძლივი გამოძიების შედეგად „იმოლასაც" და „უილიამსის" ბოსებსაც მოეხსნათ განზრახვის გარეშე მკვლელობის ბრალდება. ტრაგედია საჭის ღერძის გატეხვამ გამოიწვია. ორიოდე თვის წინ „სენას საქმე" ისევ ამოიღეს არქივიდან განსახილველად. რაღა აზრი აქვს, მით უფრო, რომ მთავარი ნივთმტკიცება აღარ არსებობს — პროცესის შემდეგ უბედურების მომტანი მანქანა დაწვეს.

**გია ახალაძე**






გონდაკარგულ სენას ვერაფერი უშველეს

### დაღუპული მრბოლები

| | მრბოლი | ქვეყანა | ასაკი | ტრასა |
|---|---|---|---|---|
| 1952 | ლუიჯი ფაჯიოლი | იტალია | 53 | მონტე კარლო |
| 1953 | ჩეტ მილერი | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | კარლ სკარბორო | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| 1954 | ონოფრე მარიმონი | არგენტინა | 30 | ნიურბურგი, გერმანია |
| 1955 | მანუელ აიალო | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | ბილ ვუკოვიჩი | აშშ | 36 | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | ალბერტო ასკარი | იტალია | 37 | მონცა, იტალია |
| 1957 | კეიტ ენდრიუსი | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| 1958 | პეტ ოკონორი | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | ლუიჯი მუსო | იტალია | 33 | რეიმსი, საფრანგეთი |
| | პიტერ კოლინსი | ბრიტანეთი | 27 | ნიურბურგი, გერმანია |
| | სტიუარტ ლუის-ევანსი | ბრიტანეთი | 28 | აინ-დიაბი, მაროკო |
| 1959 | ჯერი ანსერი | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | ბობ კორტნერი | აშშ | | ინდიანაპოლისი, აშშ |
| | ჟან ბერა | საფრანგეთი | 38 | აფუსი, გერმანია |
| 1960 | კრის ბრისტოუ | ბრიტანეთი | 23 | სპა, ბელგია |
| | ალან სტეისი | ბრიტანეთი | 26 | სპა, ბელგია |
| 1961 | ვოლფგანგ ფონ ტრიპსი | გერმანია | 33 | მონცა, იტალია |
| 1962 | რიკარდო როდრიგესი | მექსიკა | 20 | მეხიკო, მექსიკა |
| 1964 | კარელ დე ბოფორი | ჰოლანდია | 30 | ნიურბურგი, გერმანია |
| 1966 | ჯონ ტეილორი | ბრიტანეთი | 33 | ნიურბურგი, გერმანია |
| 1967 | ლორენცო ბანდინი | იტალია | 32 | მონტე კარლო |
| 1968 | ჯიმ კლარკი | ბრიტანეთი | 32 | ჰოკენჰაიმი, გერმანია |
| | ჯო შლესერი | საფრანგეთი | 40 | რუანი, საფრანგეთი |
| | ლუდოვიკო სკარფიოტი | იტალია | 35 | როსფელდი, გერმანია |
| 1969 | გერჰარდ მიტერი | გერმანია | 33 | ნიურბურგი, გერმანია |
| 1970 | ბრიუს მაკლარენი | ახ. ზელანდია | 32 | გუდვუდი, ინგლისი |
| | იოხენ რინდტი | ავსტრია | 28 | მონცა, იტალია |
| | პირს კარიჯი | ბრიტანეთი | 28 | ზანდვოორტი, ჰოლანდია |
| 1971 | იოზეფ სიფერი | შვეიცარია | 34 | ბრენდს ჰეჩი, ინგლისი |
| | პედრო როდრიგესი | მექსიკა | 31 | ნორისი, გერმანია |
| 1972 | იოაკიმ ბონერი | შვედეთი | 42 | ლე მანი, საფრანგეთი |
| 1973 | ფრანსუა სევერი | საფრანგეთი | 29 | უოტკინს გლენი, აშშ |
| | როჯერ უილიამსონი | ბრიტანეთი | 25 | ზანდვოორტი, ჰოლანდია |
| 1974 | ჰელმუტ კიონიგი | ავსტრია | 25 | უოტკინს-გლენი, აშშ |
| | პიტერ რეუსონი | აშშ | 35 | კიალამი, ს. აფრიკა |
| 1975 | მარკ დონაჰიუ | აშშ | 38 | ოსტერრაიხი, ავსტრია |
| 1977 | ტომ პრაისი | ბრიტანეთი | 27 | კიალამი, აფრიკა |
| 1978 | რონი პეტერსონი | შვედეთი | 34 | მონცა, იტალია |
| 1980 | პატრიკ დეპაიე | საფრანგეთი | 35 | ჰოკენჰაიმი, გერმანია |
| 1982 | ჟილ ვილნევი | კანადა | 32 | ზოლდერი, ბელგია |
| | რიკარდო პალეტი | იტალია | 23 | მონრეალი, კანადა |
| 1985 | შტეფან ბელოფი | გერმანია | 27 | სპა, ბელგია |
| | მანფრედ ვინკელჰოკი | გერმანია | 33 | ტორონტო, კანადა |
| 1986 | ელიო დე ანჯელისი | იტალია | 29 | პოლ რიკარ, საფრანგეთი |
| 1994 | როლანდ რაცენბერგერი | ავსტრია | 31 | იმოლა, იტალია |
| | აირტონ სენა | ბრაზილია | 34 | იმოლა, იტალია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ფინალი. სამ მოგებამდე

# ძალა არა გვაქვს და ძალაა?!

## დინამომ უღონო ბასკო დააღონა

**ბასკო 1:1 დინამო**

12 მაისი. ვერის ბაღი

**ბასკო 74:83 დინამო**

19:20 14:25 12:18 29:20

**ბასკო:** ი.ბერიშვილი (3), ბოისა (9), კეშელავა (10), იმნაძე, როდუმტა(7); ბერძენიშვილი (16), დ. ბერიშვილი (12), ბ. ბერიშვილი (3), კვიმსაძე (2), ბოლქვაძე (2), მაისურაძე

**დინამო:** ჟღენტი (17), ხოშტარია (19), კეიდია (7), კილაძე (2), მუშკუდიანი (12); ბეჟანიშვილი (17), ლოსაბერიძე (4), ჩუბინიძე (4), გოგობერიშვილი (1), გამყრელიძე, აბულაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი პერტაია**

ფინალური სერიის მეორე მატჩი იოლად გამოსაცნობი შედეგით დასრულდა — „დინამომ“ ზედმეტი გართულების გარეშე მოდრიკა არაქათგამოცლილი „ბასკო“ და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ყველაფერს აქვს დასასრული და ორთვიანი ურეჟიმობის პირობებში ბოლო ერთ კვირაში ხუთი საპლეიოფო მატჩის გამომვლელმა „ბასკომაც“ თეთრი დროშა გამოფინა. ბათუმელებმა გაკაჟებულ „დინამოს“ ზედიზედ მეორე შეხვედრაში ვერაფერი მოუხერხეს და თამაშიც თითქმის უბრძოლველად დათმეს. სერიის პირველი მატჩის შემდეგ ენერგიისგან დაშრეტილი „ბასკო“ გუშინ მხოლოდ პირველ მეოთხედში ეომა ჩემპიონებს, მერე კი...

თუმც „დინამოს“ გამარჯვება მხოლოდ ბათუმელთა გადაღლას რომ დავაბრალოთ, მთლად სამართლიანი არ იქნება. დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდმა გუშინ წინანდელზე ბევრად აზრიანად ითამაშა, საკუთარ შესაძლებლობებში არავინ დაუეჭვებია და ულაპარაკოდაც გაიმარჯვა. ჩემპიონები საკმაოდ მობილიზებულიყვნენ, წინა დღეს ნაწვნევი მარცხით არეული საქმეები ჯერაც არ დამშვიდებოდათ და რევანშის დაუოკებელი წყურვილით პირგამშრალნი მიაწყდნენ ბათუმელებს.

თავიდან „ბასკო“ მყარად იდგა. ის კი არა, პირველ მეოთხედში ტოლი არ დაუდვია მეტოქისთვის. ბათუმელებს ისევ აკლდათ ჟოლივეტ ტუჯანი და ნუგზარ კანდელაკმა ამჯერადაც ორი ცენტრი გაამწესა სასტარტო ხუთეულში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ „ბასკოს“ ლიდერი დავით ბერძენიშვილი სკამზე დარჩა, კანდელაკი მას ძალებს უზოგავდა, რაკი იცოდა, მის გუნდს ყველაზე მეტად გამძლეობაში გაუჭირდებოდა.

პლასიდე როდუმტამ და დავით იმნაძემ „ბასკოს“ ის უპირატესობა ვერ დაუბევეს, რაც ამ გუნდს ზოგადად ჰქონდა მეტოქეზე — ფარზე ვერ გამაგრდნენ. დავით მუშკუდიანი სამწამიანში ერთობ ჩაუქობდა, ეგაა, ქულებს ვერ იხვეჭდა ბარაქიანად, თორემ მოწინააღმდეგის ცენტრებს წამდაუწუმ ჰკიდებდა ჯარიმებს. მისი „წყალობით“ ბათუმელთა მეფარე დავით იმნაძეს ხუთ წუთში 3 პერსონალური დაუგროვდა, თავად მუშკუდიანი კი, ისევე როგორც მთელი „დინამო“, სუფთად გამოდიოდა ჯარიმებსაშიში ორთაბრძოლებიდან. ასე რომ, დინამოელები თითქმის სულ საჯარიმო ხაზზე იდგნენ, მაგრამ მათ სასწაულად არ უმართლებდათ. სამაგიეროდ, თამაშიდან ნასროლ ბურთებს აგდებდნენ ბრაიკოვიჩელები და მე-5 წუთისთვის 8:5 დაწინაურდნენ.

„ბასკომ“ დაცვას მიაპყრო გულისყური, კონტრშეტევებზე ბუბა ბერიშვილი ჩასაფრებულიყო. ბათუმელებმა უმალ გაათანაბრეს ანგარიში და საწყისი მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე პირველად დაწინაურდნენ — 11:10. მცირე შესვენებამდე დარჩენილ უკანასკნელ წამზე ზურაბ ჩუბინიძემ მეოთხედის მომგები ბურთი ჩაუგდო ბათუმელებს — 20:19.

მეორე ათწუთეულში „დინამოს“ ახალი სისხლი შეემატა ვაკო ბეჟანიშვილის სახით. პირველი მეოთხედის მიწურულს გამოსულმა სნაიპერმა რამაზ გოგობერიშვილმა ჩვეულად ვერ გაილაღა და ბრაიკოვიჩიც ბეჟანიშვილს მიენდო. ვაკომ კი გაამართლა, გამოსვლისთანავე მიჯრით 8 ქულა მიითვალა და „დინამოს“ სოლიდური ლიდერობა (28:21) დაუბევა.

გარდამტეხი სწორედ მეორე მეოთხედი აღმოჩნდა და მოდით, ჩვენც გამადიდებელი შუშით დავხედოთ მოედანს. აი, რა ხდებოდა ამ დროს ფიცარნაგზე: ბრაიკოვიჩმა მუშკუდიანს ფარზე ზურაბ ჩუბინიძე მიაშველა და ეს წყვილი მეტად ეფექტური ანტივირუსი აღმოჩნდა „ბასკოს“, „ორმაგი კოშკისთვის“. ბერძენიშვილი და როდუმტა რომ განეიტრალდნენ, ბათუმელებს ქულების წყაროდ ლაშა კეშელავა და ფეხმარდი ტყუპი ბერიშვილები შერჩათ, რომელთაც ვერაფრით მიაგნეს „დინამოს“ ფარზე მისასვლელ გზებს, შორიდან კი, მიუხედავად სნაიპერული თვისებებისა, იშვიათად ისროდნენ. „ბასკოს“ უკანა ხაზის მოუხეშაობის მთავარი მიზეზი დინამოელთა ყოჩაღი ტანდემი — ხოშტარია-ბეჟანიშვილი იყო, რომელიც აქეთ გასაქანს არ აძლევდა ბათუმელ დაბლებს, იქით კი ქულების რთველიც გააჩაღა. ამ წყვილის ანგარიშზე მეორე მეოთხედში 21 ქულა დაგროვდა, რაც ძირითადად სწრაფი გარღვევების ხარჯზე მოინაგრეს.

ამასობაში დიდმა შესვენებამაც მოატანა და მსაჯმა რომ დასტვინა, „დინამო“ 12 ქულით დაწინაურებულიყო. ყველაფერს მეორე ტაიმის საწყისი წუთები გადაწყვეტდა, თუ ბათუმელებს ილაჯი შერჩენოდათ, სწორედ მესამე მეოთხედში უნდა ეთქვათ თავიანთი სიტყვა. „ბასკო“ ადგა და ზონაში ჩადგა, მაგრამ ეს საკმარისად მყარი თავდაცვითი ნაგებობა „დინამოელთა“ მძლავრი არსენალის წინააღმდეგ. არჩილ ჟღენტმა შორი არტილერია მოიმარჯვა და ბათუმურ ზონას ორჯერ მიჯრით გადაავლო ბურთი.

მესამე ათწუთეულის შუაწელში დინამოელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა და ამ დროს გამოჩნდნენ მოედანზე ბათუმელთა ღრმა სათადარიგოები, რაც მარცხთან შეგუებას ნიშნავდა...

მაშ ასე, სერიაში ანგარიში თანაბარია, მომდევნო მატჩი კი ზუსტად ერთკვირიანი დასვენების შემდეგ, 19 მაისს გაიმართება ვერის ბაღში.



დავით მუშკუდიანის „დინამომ“ ამჯერად გადასძალა დავით ბერძენიშვილის „ბასკო“



„სტუ-ჯეოსელი“ ისევ ბრინჯაოსანია!

არმენ ოგანესიანი და ირაკლი ჯაფარიძე ერთმანეთს თსუ-ს ძლევას ულოცავენ

# ბრინჯაოს კალაპოტი

## ტექნიკოსები მუდმივ სიდიდეს ეჭიდებიან

**მე-3 ადგილისთვის**

**თსუ 1:2 სტუ**

12 მაისი. ვერის ბაღი

**თსუ 69:81 სტუ**

15:18 17:20 22:19 15:24

**თსუ;** მაისურაძე (10), თორთლაძე (5), აბრამიძე (15), ორმოცაძე (7), შენგელია (19); ვეფხვაძე (4), ლეჟავა (3), სანიკიძე (2), საყვარელიძე (2), ფანჩულიძე (2), მარხვაშვილი

**სტუ-ჯეოსელი:** ნიკოლაძე (20), ხეცურიანი (9) დავითულიანი (8), ბაბიაშვილი (18), ოგანესიანი (10); მარკოიშვილი (16), გაგნიძე, მიქაძე, ახალკაცი, შანიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ირაკლი პერტაია**

მიმოხილვას ასეთი ხუმრობით დავიწყებთ: ეგებ აჯობოს, ტექნიკოსებს ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზევე დაჰკიდონ ბრინჯაოს მედლები. უკვე მერამდენე წელია, ისინი სეზონს მესამე ადგილზე ასრულებენ.

ტრადიცია 2001 წელს დაირღვა, როცა სტუ-მ ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში რუსთაველების მიერ ატეხილი დაკა-დაკას გამო ავტომატურად გააღწია ფინალში. მერე კი ყველაფერი ისევ „ბრინჯაოს“ კალაპოტში ჩადგა და გუშინ ტექნიკოსებმა მორიგი მესამე ადგილი ირგუნეს.

თსუ-ს პირადსარეკორდო წარმატებაზეც უნდა ითქვას. უნივერსიტეტელები აქამდე არასდროს გასულან ნახევარფინალში, ასე რომ, მეოთხე ადგილი მათ ისტორიაში უმაღლესი მიღწევაა.

საკუთრივ მატჩი თითქმის ისეთივე გამოდგა, როგორც სერიის პირველი შეხვედრა. თამაში თითქმის სულ თანაბრად მიდიოდა, ბოლოს კი სტუ-მ თქვა გამარჯვების სიტყვა.

თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფარზე ერთმანეთს ანეიტრალებდნენ ოპონენტი მეფარეები. აქეთ არმენ ოგანესიანი ასვეტილიყო, იქით კახა შენგელია დააბოტებდა და გადამწყვეტი სიტყვაც უკანა ხაზზე იყო.

იცოცხლეთ, დიდი ომი გააჩაღეს მეტოქეთა დაბალმა მოთამაშეებმა. თსუ-ს პირველ რიგში დავით თორთლაძის ეიმედებოდა, მაგრამ მოულოდნელად მამუკა აბრამიძე უფრო გამოადგა. 32:38 წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ აბრამიძემ 2 წუთში 8 ქულა გააკეთა და თსუ-ს 4-ქულიანი ლიდერობა მოუპოვა — 49:45.

აბრამიძე ძირითადად შორი სროლებით აღწევდა მიზანს და ტექნიკოსთა მწვრთნელმაც — სამქულიანების ოსტატი მეც ხომ მომეძევება გუნდშიო — მოედანზე გიორგი მარკოიშვილი შეუშვა. გარდატეხაც აქ მოხდა, „მარკოზამ“ ქულების გუდას პირი მოხსნა და იმდენი „ამოალაგა“, რომ გადამწყვეტი მეოთხედის წინ უკვე სტუ იგებდა — 57:54.

ბოლო მეოთხედშიც სამიანების ლაწალუწი ატყდა, რაშიც კვლავ ტექნიკოსებმა იყოჩაღეს და როცა გიორგი ნიკოლაძემაც ჩართო „მესამე სიჩქარე“, სტუ 10 ქულით „გაფრინდა“ სირენამდე 3 წუთით ადრე. დარჩენილ დროში თსუ-ელებმა ერთი გაიბრძოლეს და მალევე მიხვდნენ, რომ ბრინჯაოს მედლებისთვის ტექნიკოსებთან ბრძოლას აზრი არა აქვს — ამ სინჯის მედალს კარგა ხანია, პატრონი ყავს.

## კალათბურთი



ბესიკ ლიპარტელიანი, გიორგი გაბაშვილი და ნიკა ცქიტიშვილი

# გამარჯობათ, მე ნიკა ცქიტიშვილი ვარ

**მინისტრი** გიორგი გაბაშვილი სპორტის გარდა სხვა არაერთ სფეროსაც განაგებს, თუმც როცა სახელიანი სპორტსმენი სამშობლოში ჩამოვა, მასთან შესახვედრადაც იცლის.

გაბაშვილი ამას წინათ შეხვდა თბილისში ორიოდ კვირით ჩამოსულ ზაზა ფაჩულიას, გუშინ კი მან თავისთან დენვერელი ნიკოლოზ ცქიტიშვილიც მიიწვია.

„შეიძლება ცოტა ეგოისტურად მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა ცნობილი სპორტსმენი თბილისში ჩამოდის, მე მას გასაცნობად ჩემს კაბინეტში ვეძახი, ცქიტიშვილიც ძირითადად ამ მიზეზით გახლავთ აქ" — განუცხადა მინისტრმა თავის კაბინეტში მოგროვილ ჟურნალისტებს.

თავის მხრივ ნიკა ცქიტიშვილმაც თქვა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ მინისტრმა გამონახა დრო ჩემთან შესახვედრად. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო საჭირო ყურადღებას აქცევს კალათბურთს. ჩვენ გვყავს ძალიან პერსპექტიული ნაკრები და თუ მას სათანადოდ მიხედავენ, მაკედონიასაც დავამარცხებთ, ფინეთსაც და ბევრ მათზე ძლიერსაც."

შეხვედრას, ცხადია, ფედერაციის ხელმძღვანელობაც ესწრებოდა — პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანისა და გენმდივან მერაბ რატიშვილს მინისტრი ახალ ულტრათანამედროვე საკალათბურთო „საფარს" შეჰპირდა, რომელსაც ქალაქის მერია შეიძენს ევროპაში. ეს ხელოვნური ფიცარნაგი თურმე ასაწყობია და სპორტის სასახლის პარკეტზე ეროვნული გუნდის თამაშებისას დამონტაჟდება.

## 2004 NBA Playoffs

— 11 მაისი —

### დასავლეთი

**სან ანტონიო 2:2 ლეიკერსი**

**ლეიკერსი 98:90 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** პეიტონი (8), ბრაიანტი (42), ჯორჯი (1), მელოუნი (9), ონილი (28); მედვედენკო (6), ფიშერი (4), რაში

**სან ანტონიო:** პარკერი (18), თურქოღლუ (16), ბოუენი (2), დანკანი (19 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ნესტეროვიჩი (12); ჯინობილი (21), როუზი (2), ბრაუნი, ჰორი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 2:2 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 94:79 დეტროიტი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (22 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), კიტლზი (14), ჯეფერსონი (19), მარტინი (16), კოლინზი (2); ჰარისი (11), როჯერსი (8), უილიამსი (2), სკალაბრინი, არმსტრონგი, სლეი, პლანინიჩი

**დეტროიტი:** ბილაფსი (6), ჰამილტონი (30), პრინსი (8), რ. ვოლესი (6), ბ. ვოლესი (6); ოქური (8), ჯეიმსი (6), უილიამსონი (5), ჰემი (2), ჰანტერი (2), მილიჩიჩი




მორჩა! კობი ბრაიანტი კოლორადოს სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო სასტუმროს მოსამსახურის გაუპატიურების საქმეში და საბოლოოდ გამოუშვა. ბრაიანტმა ეს ბედნიერი დღე „სან ანტონიოსთვის" ჩაგდებული 42 ქულით აღნიშნა

**სარბიელი** გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ იწვევს უცხოურ და შინაურ კალათბურთზე, რაგბიზე, ჭრივზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებზე წერის მსურველ ახალგაზრდებს.

15-დან 17 საათამდე მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად წერა შეუძლია და ერკვევა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში.

სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნაც.

## ძიუდო

# ევროპა გაგვარკვევს

## მამრიკიშვილს კიდევ შეხედავენ

**დღეს** დილით ქართველი ძიუდოისტები თბილისი-ვენა-ბუქარესტის რეისით რუმინეთში გაფრინდნენ, სადაც ხვალიდან კვირამდე ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ორი ბორჯომული შეკრების შემდეგ შოთა ხაბარელმა ზუსტად ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ჯერ კიდევ თვის დასაწყისში გაგვიმხილა. ლიცენზიამოპოვებულთაგან ბუქარესტულ ტურნირს მხოლოდ ზურაბ ზვიადაური (90კგ) ტოვებს. მის ნაცვლად ხაბარელმა მინდია ბოდაველი იახლა.

მწვრთნელს ორ ყველაზე თანაბარძალოვან წონაზეც დავეკითხეთ. მართალია, 81 კილოგრამსა და მძიმეში, სხვა წონების დარად, ოლიმპიური ლიცენზიები უკვე მოპოვებულია, მაგრამ ათენში წამსვლელები ჯერ ოფიციალურად არ დასახელებულან. შეიძლება გაურკვევლობა ევროპის ჩემპიონატმა დაასრულოს. რუმინეთში მეტი სალიცენზიო ქულების მომგროვებელი გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) მიდიან.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, გუჯეჯიანის ოლიმპიურ გუნდში შეყვანა უკვე თითქმის გადაწყვეტილია. მამრიკიშვილს კი კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. „შეიძლება მედალი ვერ აიღოს, მაგრამ კარგი ჭიდაობით თავისი ძალა ერთხელაც უნდა დამანახოს" — გვითხრა ხაბარელმა.

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 60კგ | ნესტორ ხერგიანი |
| 66კგ | დავით მარგოშვილი |
| 73კგ | დავით ქევხიშვილი |
| 81კგ | გრიგოლ მამრიკიშვილი |
| 90კგ | მინდია ბოდაველი |
| 100კგ | ივერი ჯიქურაული |
| +100კგ | ლაშა გუჯეჯიანი |

## ჩოგბურთი

# სერენა აღარ მოიკოჭლებს

**მასტერსის სერია**
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი ევრო

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1, 5:7, 6:4; **ლარს ბიურგსმიულერი** (გერმანია) — რაინერ შუტლერი (4, გერმანია) 6:4, 6:7 (5:7), 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 7:5, 1:6, 6:3; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (6, არგენტინა) 6:2, 6:3; **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:5, 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ნიკოლას მასუ (9, ჩილე) 6:3, 6:0; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — მარტინ ფერკერკი (12, ჰოლანდია) 7:5, 7:6 (7:4); **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4; **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — სხენგ შალკენი (14, ჰოლანდია) 5:1 შალკენმა შეწყვიტა; **ლეიტონ ჰიუიტი** (17, ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:0, 7:6 (7:5)

**მეორე წრე**

**იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:1, 6:0

ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს მეორე წრისკენ გასავაკებლად მძიმე ბრძოლის გადახდა მოუხდა, თუმცა ამ ბრძოლის დროსაც კი მაცქერალს არა ერთხელ მოსჭრა თვალი თავის ანდამატისებრ მოციგლიგე ჩოგნაობით. ასეთ დაძაბულ შეხლებში გამარჯვება მთელი დარჩენილი ტურნირისთვის დაშხოშიანი განწყობით შემამარაგებსო, ამბობდა მერე.

და მართალიც იყო — რაკილა გასტონ გაუდიო შარშანდელი ნახევარფინალისტია და ახლაც რიგიან ფორმაში გახლავთ, ხოლო მეორეც იმიტომ, რომ კორტი იმ დღეს ძალზედ გამომშრალი იყო და ბურთი მასზე ისე მოუხელთებლად დახტოდა, როგორც რომ დედალს ადევნებული მამალი გომბეშო ამძუვნებისას.

სხვაფრივ: წინა კვირას რომაულ მასტერსზე საჩემპიონო გარჯა არად დაიტყო და ჩოგანი კვლავ სვიანად გააქნია ფედერერის დარად წლეულს უკვე სამგზის ტიტულოსანმა კარლოს მოიამ. აი, მის მიერ საკვირაო ფინალში ძლეულმა დავიდ ნალბანდიანმა კი მესამე საკარიერო განდაგანაში მესამედვე დათმო ესპანელ დავიდ ფერერთან.

იძლია მეოთხე ნომრად განთესილი რაინერ შუტლერიც, ვისაც თვისტომმა და ახლობელმა ლარს ბიურგსმიულერმა 187-წუთიანი ლაწა-ლუწის შედეგად აჯობა. ამ მატჩში ყველაფერი უწინარესად იმან გადაწყვიტა, რომ ბიურგსმიულერმა 22 ბრეიკპოინტიდან 19-ის გადარჩენა მოახერხა.

აღსანიშნია ლეიტონ ჰიუიტისა და ტიმ ჰენმანის გამარჯვებებიც. ამათ ჩოგანზე მაინცდამაინც არ ეხატებათ თიხნარი, მაგრამ წლეულს ამ საფარზე მაინც ხშირად გამოდიან და — სხვათა შორის — არც ისე ბითურად.

**TELEKOM ITALIA MASTERS**
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი ევრო

**პირველი წრე**

**პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:1; **პაოლა სუარესი** (12, არგენტინა) — ფავიოლა სულუაგა (კოლუმბია) 5:7, 6:1 სულუაგამ შეწყვიტა; **კონჩიტა მარტინესი** (13, ესპანეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:1, 6:1; **კაროლინა სპრემი** (ხორვატია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — ელენა დოკიჩი (სერბეთი) 7:5, 7:5; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:1, 6:4

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — მარია სანჩეს-ლორენსო (ესპანეთი) 7:5, 6:3; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 6:1, 6:4

სერენა უილიამსმა შარშან ნაოპერაციევი მუხლი მოშუშებულად ჩათვალა და დიდ კორტს მოუბრუნდა, თუმცა უსახელო ესპანელ მარია სანჩეს ლორენსოს მოსათვინიერებლად მაინც კარგა ბარაქიანი ოფლისღვრა დასჭირდა. ალბათ ათასი შეცდომა დავუშვიო, ჰალალად აღიარებდა ის ნამატჩევს, თუმცა ეგ არაფერი, მაინც ჯგირო ხასიათზე ვარ, თამაში საერთოდ რომ შემიძლიაო. ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი წლეულს ერთი მარცხის წილ უკვე 10 გამარჯვებას მოიძევს და მეთერთმეტის მითვლას ან რუს დუშევინასთან ეცდება, ანაც მადაგასკარელ დალი რანდრიატეფისთან.

**ლევან ძელაურაძე**

## ჰოკეი

### პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

# სან ხოსეს კალგარიმ გაუძლო

— 11 მაისი —

**დასავლეთი**

**სან ხოსე 0:2 კალგარი**

**სან ხოსე 1:4 კალგარი**

*0:2 1:0 0:2*

0:1 ნილსონი (1), 0:2 დონოვანი (11), 1:2 მაკოლი (26), 1:3 ნეიმინენი (53), 1:4 იგინლა (54)

გოლი სწრაფად გავიდა, ისე სწრაფად, რომ მაყურებელთა უმეტესობას ჯერ ადგილებიც არ მოენახა და კომენტატორს მატჩის რეპორტაჟი არ დაეწყო. მე-20 წამზე კალგარელი მარკუს ნილსონის დარტყმის შემდეგ შაიბა მცველის ფეხიდან ასხლტა და „ზვიგენების" მეკარე ევგენი ნაბოკოვი გააოგნა. წინა მატჩში საოვერტაიმო მარცხით დათრგუნვილმა მასპინძლებმა ამის შემდეგ მთლად ჩამოყარეს ყურები და პირველი პერიოდის ბოლომდე გონს ვერ მოვიდნენ — ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ. კალგარელებსაც ეს უნდოდათ, უმალ ისარგებლეს მეტოქის დაბნეულობით და ბრწყინვალე კომბინაცია მეკარესთან პირისპირ გასულმა შონ დონოვანმა დააგვირგვინა.

0:2 პირველი მესამედის შემდეგ პლეი ოფში, მით უმეტეს „კალგართან" მატჩში, მარცხის ტოლფასია, თუმც სანხოსელებმა მაინც სცადეს გარდატეხის შეტანა და თითქოს მიზანთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ალან მაკოლიმ მხოლოდ ერთხელ შეძლო „კალგარის" საუცხოოდ მოთამაშე მეკარის მიკა კიპრუსოფის მოტყუება. არ იქნება, არ გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ კიპრუსოფი „სან ხოსეს" ღირსებას იცავდა და გუნდის... მესამე მეკარე იყო!

REUTERS ათენიდან



# დაადგა

როგორც იქნა, დაადგა საშველი ათენის ოლიმპიური სტადიონის დასავლეთის თაღის დამონტაჟებას. ათენის ოლიმპიური თამაშების თავკაცი იანა ანგელოპულოსი, ცხადია, ესწრება ამ ამბავს, ვინაიდან მშენებლობათა ვადები დიდად არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

REUTERS ლოს ანჯელესიდან




# თამაშის დაბრუნების სამყარო

ლოს ანჯელესში დიდი ხმაურით გაიხსნა ვიდეო თამაშების ინდუსტრიის განთქმული გამოფენა „E3 2004-ენტერტაიმენტ ექსპო“, რომელიც „მაიკროსოფტის“ დიდმოხელეებმა წარმოადგინეს. ამ გახსნისას საინტერესო ისიც იყო, რომ ცერემონიალს დიადი მუჰამედ ალი, მობურთალი მარშალ ფოლკი და დენვერელი კალათბურთელი კარმელო ანტონიც ესწრებოდნენ. იმავ ქალაქში გაიხსნა საგანგებო გამოფენა, რომელსაც ბუნებრივი რესურსების საბჭო თავკაცობდა და ცხადია, თავისი წილი დიდი სპორტსმენი იქაც ჰყავდათ, ტურ დე ფრანსის“ ველოხელმწიფე ლენს არმსტრონგი თავის გელფრენდ, მომღერალ შერილ კროუსთან ერთად მივიდა.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



# დედოფლის მედლები

იორდანიის კოხტა დედოფალი რანია [illegible] ოლიმპიური თამაშების მედლებს წარმოგვიდგენს, რომლებიც საჩუქრად მიიღო. დედოფალს დიდი წვლილი შეუტანია საპყართა და გონებადაქვეითებულთა თამაშების დახმარებაში და საჩუქარიც ამიტომ მიუღია.

REUTERS ამანიდან



# ფიფას ტრამვაი

ციურიხში საგანგებოდ მორთული მუნიციპალური ტრანსპორტი ივლის. ფიფას საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, ძველი ციურიხული ტრამვაები საფეხბურთოდ შეიღება და ერთ-ერთი ასეთი ტრამვაის საჭეს სწორედ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მიუჯდა.

REUTERS ციურიხიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge